გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№96 (852) 20 – 22 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**

## ბიძინა ივანიშვილი: „არაფერი გამოუვა, ვინც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ხალხი და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგოს!“



გვ. 2–3

**სპეციალური რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან**

გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო პროგრამა წარადგინა

## ქართული ეკონომიკის აღორძინების ივანიშვილისეული გეგმა

დემურ გიორხელიძე „ვერსიას“ პრემიერისა და ეკონომიკის ექსპერტების შეხვედრის დეტალებს უმხელს

გვ. 7

„ხატზე დავიფიცეთ და თუნდაც ჩვენი სიცოცხლე შეეწიროს, ხუდონჰესის მშენებლობას არ დავთანხმდებით“

გვ. 4



პაატა დავითაია ხელისუფლებას ამხელს და სახიფათო პროგნოზებს აკეთებს

გვ. 5

„ბატონო ბიძინა, უპრიანი იქნება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს დააკვირდეთ“



გვ. 9

ფარუქ სიდიკი: „2 100 თანამშრომლიდან, მხოლოდ ექვსი უცხოელია, დანარჩენები ქართველები, ძირითადად, რუსთაველები არიან“

**რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 2011 წლიდან დღემდე წარმოება გასამმაგდა — წლის ბოლოს 40 000 ტონა უნაკერო მილსა და 100 000 ტონა ფოლადს გამოუშვებენ!**

ეს ყველა მშობელმა უნდა წაიკითხოს!

## „სექსის კულტურის სწავლება ჯანმრთელი და სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების გარანტიაა“

# სპეციალური რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან

## რა დაპირებებს შეიცავს გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო პროგრამა და როგორ შეხვდა მას საზოგადოება



რუსუდან შელია
557-100-768

19 სექტემბერს, სპორტის სასახლეში, კოალიცია „ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებას საპრეზიდენტო პროგრამა წარუდგინა. ღონისძიება 17:00 საათზე იყო დანიშნული, თუმცა სპორტის სასახლესთან ხალხმრავლობა ორი საათით ადრე დაიწყო — გრძელ ფოიეში, თეთრმაისურიანი ახალგაზრდები დედაქალაქის რაიონების მიხედვით იყვნენ დაყოფილნი და ღონისძიებაზე მოსულ მოქალაქეებს წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით ატარებდნენ რეგისტრაციაში.

პარალელურად, ღონისძიების ორგანიზატორები დარბაზში სცენას ამზადებდნენ — ხმის რეჟისორი მიკროფონის ხმას ასწორებდა, დაცვა სცენის წინ განლაგებულ სკამებზე მოსაწვევების გარეშე მსხდომ ადამიანებს მოქალაქეებისთვის განკუთვნილ ადგილებზე გადანაცვლებისკენ მოუწოდებდა, შალვა რამიშვილი კი ნერვიულად, წუთში ერთხელ, საათს უყურებდა.



მედიის წარმომადგენლებისთვის ცალკე პარტერი იყო გამოყოფილი, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე მთაწმინდის შტაბმა აქტივისტებისთვის დარიგებულ ბილეთებზე, შეცდომით, სწორედ ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი ადგილები მიუთითა. საბედნიეროდ, ორგანიზატორებმა ტექნიკური ხარვეზი მალევე გამოასწორეს და ჟურნალისტებმაც მათთვის გამოყოფილი ადგილი თამამად დაიკავეს. ღონისძიების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, დამლაგებლებმა სცენა საგულდაგულოდ მოაპრიალეს, ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კი პატარა უთოთი დროშები ადგილზევე დააუთოვა. ამასობაში, დარბაზში საპატიო ადგილები დაიკავეს პოლიტიკოსებმა, მსახიობებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა. მათ შორის იყვნენ: მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, გიორგი ვოლსკი, დავით საგანელიძე, გუბაზ სანიკიძე, გოგი ქავთარაძე, კოკა გუნცაძე, კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი... მოგვიანებით, დარბაზში ლევან გაჩეჩილაძე, გია გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავაც გამოჩნდნენ. ლევან გაჩეჩილაძემ „ვერსიასთან" საუბარი არ ისურვა, **გოგა ხაინდრავამ** კი გიორგი მარგველაშვილი უალტერნატივო კანდიდატად დაასახელა: **„საქართველო წინ მიიწვეს, გიორგი მარგველაშვილი მომავლის კანდიდატია, დანარჩენები კი მხოლოდ წარსულს წარმოადგენენ. მადლობა ღმერთს, მათი დრო დამთავრდა. პირადად მე, კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს ღიად ვუჭერ მხარს. ის ფაქტი, რომ საქართველოში მარგველაშვილისნაირი ადამიანების დრო მოვიდა, უკვე წარმატებაა".**

პარტია „ქართული ოცნების" ლიდერმა **მანანა კობახიძემ** გიორგი მარგველაშვილს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი უწოდა და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ერთიანი ძალებით წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შესრულებაც დააანონსა: **„გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო პროგრამა კოალიციისგან განყენებული არ არის, ამას საზოგადოებას მომავალი სამი წლის განმავლობაში ვპირდებით. „ქართული ოცნების" კურსი, ძირითადად, სოციალურ სოლიდარობასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეა დაფუძნებული. გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად არჩევა ხელისუფლების წარმატების გარანტი იქნება. რაც მთავარია, დაპირისპირება და კოაბიტაციაც დასრულდება".** „ვერსიასთან" გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების აუცილებლობაზე ისაუბრა ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გუბაზ სანიკიძემ**: **„გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს. რაც მთავარია, ქვეყანაში ინგრევა მრისხანე პრეზიდენტის სტერეოტიპი, რადგან გიორგი მოქალაქეების მეგობარი პრეზიდენტი იქნება. დღეს ქვეყანას სწორედ მარგველაშვილისნაირი განათლებული, თანამედროვე და კარგი მენეჯერი სჭირდება პრეზიდენტად".**

ამასობაში, დარბაზში მინისტრებიც გამოჩნდნენ: სოზარ სუბარი, ირაკლი ღარიბაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, თამარ სანიკიძე... საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ღონისძიებაზე 15 წუთით დააგვიანა.

გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო პროგრამის პრეზენტაციას მსახიობი **ნინელი ჭანკვეტაძე** უძღვებოდა, რომელმაც საზოგადოებას ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად გზის გაგრძელებისკენ მოუწოდა: **„დღეს სწორედ ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად შევიკრიბეთ, ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი კი, როგორც ღირსეული პიროვნება, საზოგადოების მხარდაჭერას იმსახურებს. გიორგი მარგველაშვილმა განსაკუთრებით მაშინ მომხიბლა, როცა მან პირველ საარჩევნო გამოსვლაში განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოაბიტაცია დასრულდება. ხელისუფლება, მართლაც სწორად მოიქცა, როცა პოლიტიკური თანამშრომლობისკენ ნაბიჯი გადადგა. სწორედ ამან მოგვიყვანა დღეს მშვიდობიან საარჩევნო გარემომდე. მეორე მხარემ კი კოაბიატაციაზე უარი განაცხადა და მმართველ გუნდს საბოტაჟით უპასუხა, ამიტომ ეს პროცესი უნდა დასრულდეს. შურისძიება არ გვინდა, სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ. გიორგი მარგველაშვილის გულწრფელობაში კი ეჭვიც არ მეპარება".**

დასასრულს, ნინელი ჭანკვეტაძემ განაცხადა, რომ ქართველი ერი ბიძინა ივანიშვილთან ვალშია, რამაც პრემიერი დიდად არ აღაფრთოვანა. პირიქით, მსახიობის სიტყვებზე მან თავი საკმაოდ უხერხულად გააქნია.

— დიახ, ბატონო ბიძინა, მანიშნებთ, რომ ამდენი არ უნდა ვილაპარაკო, მაგრამ აქ ყველანი შინაურები ვართ, ამიტომაც ვამბობ ხმამაღლა, — სიტყვა გააგრძელა ჭანკვეტაძემ, — ბიძინა ივანიშვილმა მომავალში როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს, უნდა გვჯეროდეს, რომ მისი გადაწყვეტილება სწორი იქნება. დიახ, დღეს ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილი საჭიროა იქ, სადაც თავად აპირებს გადასვლას, — ამჯერად პრემიერ-მინისტრი ნინელი ჭანკვეტაძის სიტყვებით კმაყოფილი დარჩა და თანხმობის ნიშნად, თავიც დაუქნია. მიმართვის დასრულების შემდეგ მსახიობი სცენაზე ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა, რომელსაც საზოგადოება მხურვალე ტაშითა და ფეხზე წამოდგომით შეხვდა. პრემიერმა ხალხს გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რადგან, როგორც აღნიშნა, ეს პირადად პრემიერისთვის გამოცხადებული ნდობის ტოლფასი იქნება.

შემდეგ სცენა თავად მარგველაშვილმა „დაიპყრო", რომელსაც საზოგადოება ასევე მხურვალე აპლოდისმენტითა და ოვაციით შეხვდა. კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატმა, დაპირებისამებრ, საზოგადოებას ხუთწლიანი საპრეზიდენტო პროგრამა გააცნო: **„გპირდებით, რომ პრეზიდენტის პოსტზე თითოეული ადამიანის უფლებებს დავიცავ. ქვეყანაში საგარეო ინვესტიციების მოზიდვასა და საქართველოს, როგორც სანდო პარტნიორის რეპუტაციის შექმნის პროცესშიც აქტიურად ჩავერთვები. ვიქნები მთავრობისა და პარლამენტის პარტნიორი და ამ თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოების მეტ ჩართულობაზე ვიზრუნებ. პარალელურად, უნდა ვიზრუნოთ ეკონომიკის განვითარებაზეც, რისთვისაც სტაბილური გარემოს შექმნა, არსებული პოტენციალის გაძლიერება, ინვესტიციების მოზიდვა, ბაზრების გაფართოება და საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში უფრო ინტენსიური ჩართვაა აუცილებელი; ასევე შეიქმნება სრულიად ახალი დასაქმების პროგრამა. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა იქნება. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გრძელვადიან გარანტიას თავისუფალი სამყაროს სრულფასოვანი წევრობა წარმოადგენს, რაც ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციით მიიღწევა. არაღიარების პოლიტიკის გაგრძელებისა და ქვეყნის დეოკუპაციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია საგარეო პოლიტიკის გააქტიურება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციასა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას... საპრეზიდენტო პროგრამის განსახორციელებლად კი თქვენი, საზოგადოების ნდობა მჭირდება".**

ღონისძიება საქართველოს ჰიმნით დასრულდა, რომელიც ეროვნულმა სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა.



# ბიძინა ივანიშვილი: „არაფერი გამოუვა, ვინც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ხალხი და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგოს“

ნინო ბიწაძე

**19 სექტემბერი — „ოცნებისთვის“ კიდევ ერთი ისტორიული დღე — საპრეზიდენტო კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა ხალხით გადატენილ სპორტის სასახლეში საპრეზიდენტო პროგრამა წარადგინა. ივანიშვილის კოალიციის მხარდამჭერებისთვის ეს დღე იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება, პირადად მოესმინათ მარგველაშვილის მხარდასაჭერად მისული პრემიერისთვის. სცენაზე ივანიშვილის გამოსვლას იმაზე არანაკლები აჟიოტაჟი მოჰყვა, ვიდრე მაშინ, მილიარდერი საზოგადოებაში პირველად რომ გამოჩნდა — იგივე შემართება, ისეთივე ტაში, ისეთივე იმედით ანთებული თვალები და ისეთივე ინტერესი — რას იტყვის პრემიერ-მინისტრი ახალს.**



სათქმელი კი, ივანიშვილს, ჩანს, ისევ დაუგროვდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისადმი მიმართვა, ლამის, ტრადიციად ექცა. მადლობა მხარდაჭერისა და ნდობისთვის, ბევრი რამ უკვე შევძელით. ერთად ყველა მიზანს მივაღწევთ — ივანიშვილის სიტყვის პათოსი ამ სამ წინადადებაშიც შეიძლება ჩაატიო, მაგრამ პრემიერის გამოსვლაში რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდიც იყო, რომელმაც სპორტის სასახლეში შეკრებილთა ინტერესი გამოიწვია.

ოპონენტები ხელისუფლებას მუდმივად აქილიკებენ, თითქმის წელიწადიანი მმართველობის განმავლობაში, ხელჩასაჭიდი და თვალსაჩინო არაფერი გაუკეთებიათ, ქვეყანაში კვლავ რთული ვითარებაა, ოცნება არ ასრულდაო... ალბათ, ამგვარი განცხადებების ავტორები და ის ადამიანები იყვნენ პრემიერის გამოსვლის პირველი ნაწილის ადრესატები, ვინც მსგავსი დემაგოგიის ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცეს. **„შარშან დაგპირდით, რომ გავათავისუფლებდით ქვეყანას მოძალადე ხელისუფლებისგან, რომ ჩვენ ამას შევძლებდით მშვიდობიანად, არჩევნების გზით, კონსტიტუციის ფარგლებში... ჩემი მიზანი იყო, დაგვემთავრებინა ავტორიტარული რეჟიმი და სისხლისღვრის გარეშე მოგვეპოვებინა თავისუფლება. ეს იყო ჩემი მთავარი დანაპირები, რომელიც შევასრულე – დღეს ყველანი თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ!“** — ასე გაუსვა ხაზი ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს რეალობაში უკვე ახდენილ მთავარ ოცნებას და დასძინა, რომ ამ გამარჯვების გარანტი მხოლოდ თავად არ ყოფილა — გამარჯვება მისი თითოეული მხარდამჭერის დამსახურებაა: **„მადლობელი ვარ ყველასი, ვინც მენდო და ბრძოლაში ბოლომდე წამომყვა. ვამაყობ თქვენით – თქვენს გარეშე, თქვენი გამბედაობის, თქვენი სიმტკიცის გარეშე ამ გამარჯვებას ვერ მივაღწევდით. ჩვენ ეს შევძელით იმ უდიდესი ენერგიის წყალობით, რომელმაც გაგვაერთიანა და რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია! მადლობელი ვარ ჩემი გუნდის, რომელიც სწორად შევარჩიე და ამაში არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უფრო დავრწმუნდი. რომ არა სწორად შერჩეული პოლიტიკური გუნდი, რომ არა მათი მაღალი სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, დღემდე მშვიდობიანად მოსვლა ძალიან გაგვიჭირდებოდა“.**



პრემიერის თქმით, დღემდე მშვიდობიანად მოსვლა კიდევ უფრო რთული იყო არჩევნების შემდეგ, რადგან ეს ერთი წელი, ხალხმაც და ხელისუფლებამაც, ბეწვის ხიდზე იარა. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა ძალებმა შეძლეს, ეცხოვრათ ქართული რეალობისთვის ასე უცხო და წარმოუდგენელ კოაბიტაციის რეჟიმში, რამაც თავიდან აგვაშორა დაპირისპირება ძველი და ახალი მმართველი ძალების მომხრეებს შორის. **„ჩვენ ეს შევძელით! და სიძლიერეც სწორედ ესაა. ჩვენმა ხელისუფლებამ თავიდან აიცილა სერიოზული დაპირისპირება. ეს იყო ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნება. პირველად, ამ ოცი წლის განმავლობაში, პრეზიდენტი ამთავრებს თავის საკონსტიტუციო ვადას და ვირჩევთ ახალ პრეზიდენტს. ეს უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის. ჩვენ შევძელით, მთელი დემოკრატიული სამყაროსთვის დაგვემტკიცებინა, რომ ცივილიზებული ერი ვართ, რომ მოძალადეს ძალადობით არ ვპასუხობთ, რომ უსამართლობის აღსაკვეთად კანონი და სასამართლო ავირჩიეთ და უარი ვთქვით რევანშსა და ანგარიშსწორებაზე. საქართველომ ბოლო 22 წლის განმავლობაში, ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობის გამო, სამოქალაქო ომის ქარცეცხლი და რევოლუცია გამოიარა, თუმცა ამასაც თავისი გამართლება აქვს – ორ საუკუნეზე მეტი ჩვენ არ გვეკუთვნოდა, არ გვიმართავს ჩვენი ქვეყანა, დაკარგული გვქონდა სახელმწიფოებრიობა, ამიტომ, როდესაც პოლიტიკაში მოსვლა გადავწყვიტე, შევეცადე, ისეთ რამეს ჩავჭიდებოდი, რაც, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური გამოუცდელობისა, ქვეყანასა და ხალხს სწორ გზაზე გაიყვანდა. მაშინ ვიპოვე ერთადერთი დასაყრდენი – ეს იყო ჩვენი უძველესი უწყვეტი კულტურა, ქართველი ხალხის ისტორიული სიბრძნე და სიდინჯე. ეს გათვლა სწორი აღმოჩნდა და დღეს ვამაყობ ამით. ისე მოვიპოვეთ თავისუფლება, ისე შევცვალეთ ჩვენი ყოფა, თანამიმდევრული, დინჯი და გათვლილი ნაბიჯებით ისე დავიწყეთ ცვლილებები, რომ ერთი უკადრისი საქციელი არ ჩაგვიდენია. ევროპულ ქვეყნებსაც კი, რომლებსაც დემოკრატიაში ცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება და ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტები აქვთ, დღემდე ძალიან მძიმედ ახსენდებათ დრო, როდესაც კოაბიტაციის პირობებში მოუწიათ ცხოვრება. სწორედ ამიტომაა საამაყო, რომ გაცილებით რთულ ვითარებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობის პირობებში შევძელით კოაბიტაცია და მართლაც, სასწაული მოვახდინეთ — ეს ნამდვილი გმირობის ტოლფასია. მჯერა, ამაში, ისევ და ისევ, ჩვენი უძველესი კულტურა დაგვეხმარა“.**

ბიძინა ივანიშვილმა აქცენტები რამდენიმე უკვე განხორციელებულ საქმეზე, უკვე მოგვარებულ პრობლემაზე გააკეთა, როგორიცაა, მაგალითად, სასამართლოს გათავისუფლება პოლიტიკის მარწუხებისგან. ყველასთვის, ვინც ფსიქოლოგიაში ოდნავ მაინც ერკვევა, ცნობილია ერთი აქსიომა — ძალაუფლება რყვნის და ყველა ხელისუფალი დგება სხვადასხვა ცდუნების წინაშე. სხვა საქმეა, ვინ დაძლევს ამას და ვინ არა. პოლიტიკური ცდუნებებიდან ერთ-ერთი მთავარი, სწორედ სასამართლოს დამორჩილების, მოსამართლეებზე ზემოქმედების სურვილია. პრემიერის თქმით, მისმა კოალიციამ ამ ცდუნებას ღირსეულად გაუძლო. **„ნაბიჯ-ნაბიჯ, თანამიმდევრულად, სწორედ სასამართლოს რეფორმით დავიწყეთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. დღეს შემიძლია თამამად ვთქვა – სასამართლო თავისუფალია ხელისუფლების ზეწოლისგან. სასამართლომაც უნდა გამოიყენოს შანსი, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ მისცა და ბოლომდე გათავისუფლდეს ნებისმიერი ზეგავლენისგან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება პატივსაცემი ყველა მოქალაქისთვის, მიუხედავად იმისა, მოსაწონია თუ არა ის ვინმესთვის“.**

მმართველი გუნდის ერთწლიანი მოღვაწეობის კიდევ ერთ მიღწევად, ივანიშვილმა დეპოლიტიზირებული პოლიცია დაასახელა და ნაციონალების ეპოქის მახინჯი შემთხვევებიც გაიხსენა, როცა მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში „ოცნების“ მხარდამჭერებსა და აქტივისტებს ზონდერბრიგადები ფიზიკურად უსწორდებოდნენ, პოლიცია კი დუმდა და ხალხს არ იცავდა. მეტიც, ხშირად, პოლიციელები თავად აყენებდნენ შეურაცხყოფას ან სასიკვდილოდ იმეტებდნენ ქვეყნის უდანაშაულო მოქალაქეებს. მათ კი, ვინც უსამართლობაზე თვალს არ ხუჭავდა და მოძალადე ხელისუფლებას ხმამაღლა აკრიტიკებდა, ქვებს უშენდნენ. **„ახლა საქმე სხვაგვარადაა. პოლიცია მთლიანად დეპოლიტიზებულია და ხალხის სამსახურში დგას. ამის მიღწევა არ იყო ადვილი. პოლიცია იცავს ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებსა და აქტივისტებს, რადგან ბევრია მათგან გამწარებული ადამიანი და ჯერ კიდევ დიდია ანგარიშსწორების სურვილი“,** — განაცხადა პრემიერმა და სიამაყით დასძინა, რომ სირთულეების მიუხედავად, „ოცნებამ“ ახალი პოლიტიკური კულტურა დაამკვიდრა, – **„დღეს ყველა ოპოზიციურ ძალას აქვს საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება, მათ ინტერესებს სახელმწიფო იცავს და ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს ხელის შეშლის არც ერთი ფაქტი“.**

თუმცა, პრეზიდენტობის სხვა მსურველებმა როგორი ეფექტური სარჩევნო კამპანიაც უნდა აწარმოონ, ბიძინა ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს, რა თქმა უნდა, ხალხის მხარდაჭერით. ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ მარგველაშვილს მხარდამჭერები მხოლოდ პრემიერის წყალობით ჰყავს. მთავრობის მეთაური კი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის ფაქტორის პარალელურად, ხალხს არჩევანის გაკეთებაში „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის ღირსებები დაეხმარება. როგორია ივანიშვილის თვალით დანახული მარგველაშვილი? — **„გიორგი ღირსეული პიროვნებაა — თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, სუფთა წარსულით. გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს... სათქმელს ყოველთვის ღიად და გახსნილად ვამბობ, ყოველთვის გულწრფელი ვარ და კულუარული გადაწყვეტილებები არ მჩვევია, სიცრუეც არასოდეს დამჭირვებია — ეს ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიკადრებია და რადგანაც ჩვენი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დავასახელე, ის მიმაჩნია სწორედ ერთადერთ კანდიდატად, რომელიც უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი. არაფერი გამოუვა, ვინც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ხალხი და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგოს. ვურჩევ ყველას, თავი დაანებონ ასეთი მეთოდებით ბრძოლას და პატიოსან ბრძოლაში გაეჯიბრონ გიორგი მარგველაშვილს“.**

ბრძოლა რომ პატიოსანი იქნება, პრემიერი ამაშიც დარწმუნებულია; ოპტიმიზმის საფუძველს კი, ბოლო 2 წელიწადში მიღებული გამოცდილება და ის გამარჯვება აძლევს, რაც 2 წლის წინ, საქართველოს ბევრ მოქალაქეს თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნდა. **„ამიტომ, გავკადნიერდები და გეტყვით – მომავალშიც მენდეთ!“** — მიმართა ივანიშვილმა საზოგადოებას და შეახსენა, რომ ახლა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დროა, რადგან მოპოვებულ თავისუფლებას გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება. ამის გარანტი კი, მხოლოდ და მხოლოდ, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებაა. **„სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მთელი ძალისხმევა ამ საქმეს მოვახმარო და ასე დავეხმარო სამშობლოს. ჩვენ ავირჩიეთ რთული გზა და ეს გზა დიდ მოთმინებას მოითხოვს. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ არჩევანით დემოკრატიულ სახელმწიფოს ვუყრით საფუძველს. ძალიან მნიშვნელოვანია, ვისწავლოთ პროცესების სწორად შეფასება, გავერკვეთ პრიორიტეტებში, ვეცადოთ, გავაკეთოთ ობიექტური ანალიზი... ჩავატარებთ თავისუფალ, უპრეცედენტოდ მაღალი სტანდარტის არჩევნებს. ჩავატარებთ ისეთ არჩევნებს, როგორიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ეკადრება! ისევ ერთად და მტკიცედ ვდგავართ ჩვენი ქვეყნისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და პრეზიდენტის არჩევნები დიდი გამარჯვებით დავაგვირგვინოთ!“**

გამარჯვებაში კი, პრემიერი, ცხადია, გულისხმობს მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას, რაც მისი რწმენით, იქნება **„საქართველოს საერთო გამარჯვება!“**

პრობლემა

# „ხატზე დავიფიცეთ და თუნდაც ჩვენი სიცოცხლე შეეწიროს, ხუდონჰესის მშენებლობას არ დავთანხმდებით“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ხუდონჰესის გარშემო პერიპეტიები არ ცხრება. მთავრობა ნაციონალების მიერ განახლებულ პროექტს აგრძელებს და უკანდახევას არ აპირებს. ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების პროტესტს შედეგი არ მოჰყვება. გარემოს დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი საჯარო განხილვის საგანია.

ჰესის მშენებლობა ადგილობრივ კლიმატზე გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს. კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯიაში“ აცხადებენ — შეფასებამ კლიმატური პირობების მოდელირების საფუძველზე აჩვენა, რომ ხუდონჰესის წყალსაცავის შექმნის შემდეგ, რეგიონში კლიმატის რაიმე არსებითი ცვლილება არ მოხდება, თუმცა წყალსაცავი, უშუალოდ მასთან მიმდებარე ტერიტორიის ვიწრო ზოლის (1-5 კმ) კლიმატზე მოახდენს უმნიშვნელო გამაგრილებელ ზემოქმედებას თბილ სეზონშზე და დამათბობელ გავლენას ცივ პერიოდში. წყალსაცავის მშენებლობისას, 2 მ სიმაღლეზე ქარის სიჩქარე შეიძლება გაიზარდოს 2-3-ჯერ, 100 მ სიმაღლეზე კი — მხოლოდ 10%-ით. დამატებითი ნალექის რაოდენობა კი შეიძლება იყოს 38 მმ, თუ მოხდა წყალსაცავის მიერ წარმოქმნილი წყლის ორთქლის ნახევრის ნალექად გადაქცევა (3%-იანი მატება). კომპანიის ინფორმაციით, ადგილობრივ კლიმატზე უმნიშვნელო ზემოქმედებათა მიზეზით მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სოფელ ხაიშში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, ხმაურიანი შეხვედრა გაიმართა. საჯარო განხილვა თბილისშიც მოხდა. მოეწყო საპროტესტო აქციაც. უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი მთავრობას წინასაარჩევნო დაპირებას ახსენებს: **„ხუდონჰესისა და სხვა დიდი ჰესების მშენებლობა, მით უფრო, როცა ეს ელექტროენერგიის თურქეთში გასაყიდად იგეგმება,**

## რატომ დაივიწყა „ოცნებამ“ წინასაარჩევნო დაპირება ჰესთან დაკავშირებით?



**მიუღებელია. ამით „ოცნება“ და მისი ლიდერი არღვევენ ამომრჩევლისთვის საარჩევნო პროგრამით მიცემულ პირობას, რომ დიდი ჰესებისა და ატომური სადგურების მშენებლობა აიკრძალებოდა. მცირე რაოდენობის საბიუჯეტო გადასახადებს ეწირება სოფლები, ეკლესიები და სხვა ძეგლები... ამ ვანდალიზმის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს ყველამ, ვისაც უყვარს სამშობლო. ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე, მიწისძვრის, სამხედრო ან დივერსიული შეტევის შედეგად, გიგანტური ჰესის ნგრევის შემთხვევაში, რეალური რისკის ქვეშ დადგება. დიდი ჰესი, მისი მასშტაბისა და წყლის კოლოსალური მოცულობის გამო, თავად სეისმური აქტივობის მაპროვოცირებელ ფაქტორად მოგვევლინება. ასეთი კოლოსალური ზარალი ყოვლად მიუღებელია. მით უფრო, არც შემცირებულ ტარიფებს ვიღებთ. ერთად ვიბრძოლოთ სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების დატბორვის მასშტაბური გეგმის წინააღმდეგ“.**

ხაიშის თემის მოსახლეობის ნაწილმა რამდენიმე თვის წინ ფიცი დადო, რომლის მიხედვით, ისინი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას არ დაუშვებენ. ფიცის ტექსტი, რომელიც სოფლის წმინდა გიორგის ტაძარში ინახება, ასეთია: „დამხობაი ბოროტმსახურთა, ეგრეცა ღრმთისმოძულეთა დაქცევისათვის. 1) არსენ იყალთოელის თარგმანი, შესულია შიო მღვიმელის ტიპიკონში. 2) არის ძეგლის წერაშიც. 3) ექვთიმე ათონელის თარგმანი კონსტანტინოპოლის კრებებიდან, რომელიც I და II საუკუნეებიდან იღებს სათავეს. იკითხება მართლმადიდებლობის ზეიმზე ...რომელნი უკუე ჯუარსა უფლისასა, ძელსა ცხოველსმყოფელსა, რომელსა ზედა ქრისტემან მეუფემან დიდებისამან ხელნი განიპყრა, არა თაყუანის-სცემენ და არცა პატივს მიაგებენ მას, შეჩუენებულ უიყუნედ! ...რომელნი ეკლესიისა მტერნი, მოღალატენი, ორგულნი, შინა გამცემელნი და ყოველნი, რომელთა ურთიერთარს გარდასცნეს ბოროტნი წმიდისა ეკლესიისათვის და სხუათა მონაცვლეთ ექმნეს ბოროტადმსახურებასა, შეჩუენებული იყუნედ! ...რომელნი მტერნი სამშობლოისა ჩუენისანი და ყოველნი წინააღმდგომნი, ბოროტად მებრძოლნი, გამცემელნი, ორგულნი და მოღალატენი, დაამხუნეს იგინი ღმერთმან ჩუენმან საკვირვილებამათან სილაღეი მათი მიწად დააკუეთეს, შეჩუენებულ იყუნედ!

ხაიშის თემის მცხოვრებნი ვიფიცებით, რომ გამოვხატავთ ნებას ხუდონჰესის მშენებლობის საწინააღმდეგოდ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს მშენებლობა მიმართულია არა მხოლოდ ხაიშის, არამედ სვანეთისა და, შესაბამისად, საქართველოს საზიანოდ და ყველა, ფიცის ქვეშ მყოფნი ერთიანად მივიღებთ გადაწყვეტილებას ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით... ვფიცავ, არ დავიშურებ ძალ-ღონესა და ჭკუა-გონებას, რომ ხაიშის წმინდა გიორგის მოქმედი ტაძარი, სასაფლაოები, ხაიშის თემი და მასში შემავალი სოფლები არ მოექცნენ წყალქვეშ. ფიცის სინამდვილეს ხელმოწერით ამჟამად 70-ზე მეტი ოჯახი ადასტურებს და მოსახლეობის ნაწილი შეფიცულებთან შეერთებას აპირებს“.

ხაიშის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ზურაბ ნიჟარაძე ამბობს, რომ სვანები ხუდონჰესის აშენებას არ დაუშვებენ. **„მასობრივად ხატზე დაფიცება სვანეთში დიდი ხანია არ ყოფილა, მაგრამ გვაიძულეს, ასე მოვქცეულიყავით. ვერანაირი კომპენსაციის საფუძველზე და ვერანაირი პირობებით ვერ დავთანხმდებით, ხუდონჰესის მშენებლობას იქ და იმ მასშტაბებით, სადაც ესენი გეგმავენ და აპირებენ, თუნდაც ჩვენი სიცოცხლე შეეწიროს ამას. ეს ჩვენი საბოლოო სიტყვაა, რასაც არ გადავალთ. ჯერ არის უფალი და მერე იწყება სხვა დანარჩენი“.**

სხვათა შორის, ზურაბ ნიჟარაძემ, შარშან ზაფხულში, სვანეთში ასულ ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფ ბიძინა ივანიშვილს ჰკითხა აზრი ხუდონჰესის მშენებლობის განახლებაზე და ასეთი პასუხი მიიღო: **„სოფლის აყრის ხარჯზე როგორ შეიძლება, ენერგეტიკა მივიღოთ?! ხალხისა და სახლების განადგურების ხარჯზე წამოსული ენერგეტიკა არაფერში გვჭირდება!“**

ხუდონჰესის მშენებლობის განახლებას, მესტიის რაიონის სოფლების — ხაიშის, გალმა ხაიშის, ტობარის, დაკარის დატბორვა და 2000-ზე მეტი ადამიანის გასახლება მოჰყვება. საპირწონედ, ერთ მხარეს საბიუჯეტო ინტერესებია, მეორე მხარეს კი — ათასობით ადამიანის ბედი, მშობლიური მიწა, წინაპართა საძვალეები, სარიტუალო სიწმინდეები... ცნობილია, რომ ბუნებრივი სტიქიების შედეგად გადასახლებული პირველი თაობის მთიელები ბარს ძნელად ეგუებოდნენ. მთაში გაკაჟებულნი, დროთა განმავლობაში გულის ავადმყოფობებით იღუპებოდნენ. ეს მწარე რეალობა აუცილებლად გასათვალისწინებელია. ძნელია იმაში დარწმუნება, რომ ხაზინის შევსების ინტერესი, ისტორიული სოფლების გაქრობის პერსპექტივას აღემატება. საჯარო განხილვებში ქართული საზოგადოება უნდა ჩაერთოს და პრობლემა საერთო კონსენსუსის საფუძველზე გადაწყდეს. ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეზე, მის უნიკალურ ეკოსისტემაზე ზრუნვა ერის პირდაპირი მოვალეობაა.

სამართალი

# ცეზარ ჩოჩელს 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი მორიგ სკანდალში გაეხვა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, 18 სექტემბერს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით გიორგაძე.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის, დავით კვინიკაძის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის 29 ივნისს, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში, 76 798 074 ლარის ღირებულების, 474 000 ერთეული რკინაბეტონის შპალი უნდა შესყიდულიყო. საქართველოში, აღნიშნული სახეობის შპალების ერთადერთი მწარმოებელი კომპანია კი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“ იყო. ამავე ქარხნის წერილით, ერთეული შპალის ღირებულება 27,3 ლარიდან 163,8 ლარამდე უსაფუძვლოდ იყო გაზრდილი, რაც ტენდერში გამარჯვებული კომპანიისთვის, დამატებით 12 000 000 ლარის შემოსავლის მიღების საშუალებას იძლეოდა: **„ამ ტენდერითა და „რკინაბეტონის შპალის ქარხნით“ ჩოჩელი დაინტერესდა, რომელმაც მოსალოდნელი მაღალი შემოსავლის მიღების მიზნით, განიზრახა, რაც შეიძლება დაბალ ფასად დაუფლებოდა ქარხანას. ჩოჩელის მიერ სატენდერო ღირებულების გაკონტროლების მიზნით, მასთან დაკავშირებული კომპანიების — შპს „ნიუ ენერჯისა“ და შპს „მიქსორის“ ტენდერში ფორმალური მონაწილეობით, 2010 წლის 20 ივლისს გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“; პარალელურად, ჩოჩელი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ეკონომიკის მინისტრის იმჟამინდელ მოადგილეს დავით გიორგაძეს, „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეძენის გამო“.**

კვინიკაძის თქმით, 2010 წლის 25 აგვისტოს, დავით გიორგაძის ბრძანებით, საჯარო აუქციონი გამოცხადდა, რაც „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ 12 409 040 ლარად შეძენას ეხებოდა. ამ პრივატიზებას გიორგაძისვე მოწვეული კერძო აუდიტორის შედგენილი ყალბი დასკვნა დაედო საფუძვლად, რომელშიც გიორგაძის მითითებით, გათვალისწინებული არ იყო ქარხნის უძრავი ქონების რეალური ღირებულება და „საქართველოს რკინიგზასთან“, 2010 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება — 76 798 074 ლარის მომსახურების გაწევაზე: **„ამ ყველაფრის გათვალისწინების შემთხვევაში, ქარხნის საბაზრო ღირებულება 19 696 764 ლარი იქნებოდა. გიორგაძის ინიციატივით, მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით, „რკინაბეტონის შპალის ქარხანას“, „საქართველოს რკინიგზის“ მიმართ, 6 278 012 ლარის დავალიანებაც აპატიეს. 2010 წლის 9 სექტემბერს, „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შესაძენად გამოცხადებულ საჯარო აუქციონში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ჩოჩელის მფლობელობაში არსებულმა შპს „მიქსორმა“ და ქარხანა 7**



**416 364 ლარით შემცირებულ ფასად ანუ 12 679 350 ლარად შეიძინა. შესაბამისად, გიორგაძის დახმარებით, ჩოჩელი თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 19 696 764 ლარის ღირებულების ქონებას, რომელიც დღემდე მის საკუთრებაშია. შპს „მიქსორის“ მიერ, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შეძენის შემდეგ, 2010-2013 წლებში, ჩოჩელის მიერ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ უკანონოდ ფლობის გამო, ამ უკანასკნელის საკუთრებაში მოექცა 49 000 000 ლარის ოდენობის უკანონო შემოსავალი, რისთვისაც კანონიერი სახის მიცემის მიზნით, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მიერ, 30 347 018 ლარად შეძენილი იქნა ლუდსახარში „ზედაზენის“ 70%-იანი წილი. შპს „ბარამბოსთვის“ 6 331 705 ლარის, ხოლო შპს „ბერტასთვის“ 1 189 061 ლარის ღირებულების სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარი შეიძინეს. შპს „მიქსორმა“, როგორც შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ დამფუძნებელმა, ქარხნიდან დივიდენდის სახით, 12 000 000 ლარი გაიტანა“.**

კვინიკაძის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება სსს-ის კოდექსის 180-ე მუხლის მეოთხე ნაწილითა და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

ცეზარ ჩოჩელმა, დაკითხვის შემდეგ, საგამოძიებო სამსახური ადვოკატთან ერთად დატოვა. 19 სექტემბერს კი, ბრიფინგიც ჩაატარა და განაცხადა: **„ეს თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა. სისულელეა, თითქოს იმ თანხით, რაც „შპალების საქმეზე“ დამრჩა, „ბარამბო“, „ბერტა“ და სხვა კომპანიები შევიძინე. კომპანია „ზედაზენი“ ერთადერთია, რომელსაც წელს 40%-იანი ზრდა აქვს. მუდმივად გვაბრალებდნენ, რომ წინა ხელისუფლება გვმფარველობდა. აღმოჩნდა, რომ ყველა კომპანია უკან წავიდა, „ზედაზენს“ კი ზრდა აქვს. ამიტომ არსებობს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება, „ზედაზენის“ დაყადაღებას გეგმავს. ესაა შეტევა ყველაზე წარმატებულ კომპანიებზე“.**

*მაია მიშელაძე*

# „ბატონო ბიძინა, უპრიანი იქნება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს დააკვირდეთ“

## პაატა დავითაია ხელისუფლებას ამხელს და სახიფათო პროგნოზებს აკეთებს



რუსუდან შელია
557-100-768

**მიუხედავად იმისა, რომ დიცში მავთულხლართების გაბმის პროცესი შეჩერებულია და შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ე.წ. პირობით საზღვარზე უკვე სიმშვიდეა, ვილნიუსის სამიტამდე რუსეთის მხრიდან მწვავე პროვოკაციებს ელოდება. ამბობს, რომ მსგავსი შემთხვევები ხელისუფლების გაურკვეველი პოზიციის შედეგია. „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია „ვერსიასთან“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.**

— პირობით საზღვართან რუსი სამხედროების გააქტიურება არ გამკვირვებია... პირიქით, ვფიქრობ, ვილნიუსის სამიტამდე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. პარალელურად, სოხუმში რუსეთის საელჩოს მშენებლობისთვის 35 მილიონი დოლარია გამოყოფილი, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი პოზიციების დათმობას სულაც არ აპირებს. მივმართავ პრემიერ-მინისტრს, რომელიც აცხადებს, რომ ევრაზიის კავშირის შექმნის პროცესს აკვირდება — ბატონო ბიძინა, უპრიანი იქნება, თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს დააკვირდებით და მავთულხლართების გადმოწევის საკითხით დაინტერესდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მძიმე შედეგამდე მივალთ.

**— რუსეთის მხრიდან კიდევ რა ნაბიჯებს ელოდებით და გახდება თუ არა ეს დასავლეთის მხარდაჭერის გარანტი ასოცირების დოკუმენტი, რომელსაც ნოემბერში, ვილნიუსის სამიტზე შეიძლება ხელი მოეწეროს?**

— ვითარების გართულებას ყაზბეგის მიმართულებითაც ველოდები — კოკოითმა განაცხადა, ყაზბეგის ტერიტორიის ნაწილი ე.წ. სამხრეთ ოსეთს ეკუთვნისო. არ გამოვრიცხავ, მავთულხლართები ყაზბეგშიც გამოჩნდეს. თუ პოზიციებს არ დავიკავებთ და რუსეთთან დათმობით პოლიტიკას გავაგრძელებთ, რუსები თბილისამდე მოვლენ. რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას, ჩვენი ტერიტორიების დასაცავად თავს არავინ გაწირავს. საერთაშორისო პარტნიორები მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვიჭერენ, თუ საკუთარ ტერიტორიებს დავიცავთ. ვილნიუსის სამიტზე კი ასოცირების შესახებ დოკუმენტს ხელი არ ეწერება, ნოემბერში მხოლოდ ტექსტის პარაფირება ხდება და კარგი იქნება, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებას არ მოატყუებენ.

**— ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის შეხვედრები, ბიძინა ივანიშვილის ოპტიმიზმი რუსეთთან ურთიერთობის დალაგებასთან დაკავშირებით... თქვენთვის დამაიმედებელი არ არის?**

— სასაცილოა თქმა, რომ აბაშიძისა და კარასინის შეხვედრები კონკრეტულ შედეგს გამოიღებს. რუსეთი იმპერიაა, რომელიც არც აფხაზეთის დათმობას აპირებს, არც ცხინვალის... მით უმეტეს, იგი საქართველოს მშიშარა ხელისუფლების დაბნეულობითა და გაურკვევლობით სარგებლობს. მთავრობამ ისიც კი არ იცის, ევროკავშირში უნდა, ნატო-სკენ ისწრაფვის თუ ევრაზიულ კავშირზე ოცნებობს. ამასობაში, ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება და მალე ეკონომიკურ კოლაფსში აღმოვჩნდებით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ჩანს, რომ ხელისუფლებას გაზაფხულისთვის პენსიებისა და ხელფასების გაცემაც გაუჭირდება.

**— და ეკონომიკური კოლაფსი თვითმმართველობის არჩევნების წინ რას გამოიწვევს? ისე, ივანიშვილი ამბობს, რომ სამოქალაქო სექტორში გადასვლის შემდეგ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნებს.**

— შევარდნაძის მმართველობის დროს გაჩნდა ტერმინი „მათემატიკური მატრიცა“, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ხვდებოდა... დღესაც, დაახლოებით, იგივე ვითარებაა. ბიძინა ივანიშვილი კი დაპირებებს ვერ ასრულებს და ქვეყნიდან გარბის. სხვათა შორის, პრემიერი, სააკაშვილთან შედარებით, ბევრად მძიმე მდგომარეობაშია.

**— ეს რაში გამოიხატება?**

— ივანიშვილის განცხადებებშიც ჩანს, რომ ცალკე რუსები სთხოვენ პასუხს, ცალკე ევროპელები. ამერიკასაც მის მიმართ უამრავი კითხვა დაუგროვდა. პარალელურად, მოსახლეობა დაპირებების შესრულებას ითხოვს, ამიტომ ცდილობს, პასუხისმგებლობა მოიხსნას და ქვეყანა სახლიდან მართოს, რასაც ვერ შეძლებს. დღესაც უპატრონოდაა ქვეყანა. ვთქვათ, რუსეთმა სამხედრო მოქმედებები გაააქტიურა და ომი დაიწყო. ვინ გამოიყვანს ქვეყანას კრიზისული მდგომარეობიდან? თუ ვინმე ფიქრობს, რომ გიორგი მარგველაშვილს ვინმე დაემორჩილება, ძალიან ცდება — მას ლიდერად არავინ მიიჩნევს.

**— ვერც ბიძინა ივანიშვილის შემცვლელი გახდება კოალიციის ლიდერი?**

— არ ვიცი, რატომ მალავს ბიძინა ივანიშვილი თავის შემცვლელს. ზოგადად, რაც უფრო დიდხანს იქნება გაურკვეველი მომავალი პრემიერის ვინაობა, კოალიცია უარეს შედეგს მიიღებს — მისი პოლიტიკური ლეგიტიმურობის საკითხი დადგება. ისე, ნორმალურია, როცა ქვეყნის მმართველებად ბიძინა ივანიშვილის მეგობრები ინიშნებიან?

**— გიორგი მარგველაშვილი თანამდებობაზე არ ინიშნება, მას არჩევნები ელის.**

— რა თქმა უნდა, საზოგადოებამ უნდა აირჩიოს მომავალი პრეზიდენტი, მაგრამ ფაქტია — გიორგი მარგველაშვილი ქვეყნის სტაბილურობის გარანტი ვერ იქნება. ის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისთვის ხელსაყრელი ფიგურაა. სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძეს არჩევნებში გამარჯვების საკმაოდ დიდი შანსი აქვს, მეორე და მესამე ადგილიც აწყობს, რადგან მსგავსი შედეგი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საფუძველი გახდება. ნინო ბურჯანაძე კი სამეულში აუცილებლად მოხვდება.

**— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს უნდა ველოდეთ?**

— პოლიტიკური მოცემულობა არჩევნების დანიშვნას გამოიწვევს და თუ არ დაინიშნება, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ბრძოლაც ბევრად მძლავრი გახდება, რაც, საბოლოოდ, კოლაფსით დასრულდება. გიორგი მარგველაშვილი არ არის ის პიროვნება, რომელიც ამ პროცესების მართვას შეძლებს და არც ბიძინა ივანიშვილის შემცვლელი მესახება ძლიერ მმართველად.

**— რატომ არ შეიძლება, თავად კოალიცია გახდეს სტაბილურობის გარანტი?**

— კოალიცია გუნდური პრინციპით რომ მუშაობდეს, საპრეზიდენტო კანდიდატად ირაკლი ალასანიას დაასახელებდა, მაგრამ კოალიციის ლიდერებს არავინ არაფერს ეკითხება. საინტერესოა, რატომ არ აკეთებენ ისინი კომენტარს რუსეთის ქმედებებზე? პირადად მე, მარტივი პასუხი მაქვს — ივანიშვილმა კოალიცია „დააჩმორა“. ფაქტია, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი რომ არა, გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად არავინ დაასახელებდა. არ ვიცი, რატომ გაყუჩდა საზოგადოება ახლა, როცა კარგად ჩანს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში? რატომ ვითმენთ პრემიერის განცხადებებს ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით, რასაც ერთი წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდით? ხელისუფლებას არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა მომავალთან დაკავშირებით. პრემიერი ქვეყნის მართვაში არ ერევა. მინისტრებს კი მისი ეშინიათ და ინიციატივის გამოჩენას ერიდებიან. სწორედ ამიტომაა ყველაფერი გაჩერებული. დიახ, კოალიციაში პოლიტიკოსებს ეშინიათ, რომ მათ შორის ვიღაც ბიძინა ივანიშვილს ენას მიუტანს და ამიტომ ყველა უმოქმედოა, თვითონ ბიძინა ივანიშვილი კი რამდენიმე ადამიანის ნათქვამს უსმენს და ქვეყანა ჭორებით იმართება. ამასობაში, საერთაშორისო მხარდაჭერასაც ვკარგავთ. სხვათა შორის, ბრიუსელში, ვაშინგტონსა და სტრასბურგში ევროპარლამენტის ფრაქციის შეშფოთებულმა პრეზიდენტმა იმის გასარკვევად მიმიწვია, პრემიერი ევრაზიულ კავშირზე რატომ საუბრობსო. დიდი ხანია ვამბობ, რომ დასავლური ორიენტაციის მქონე პარტიების გაერთიანება აუცილებელია, თუმცა ჯერ ამის პერსპექტივას ვერ ვხედავ. არ ვკარგავ იმედს, რომ ამბიციებს ყველა გადადებს გვერდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ „ბარდაგში“ ვიცხოვრებთ, როგორშიც ახლა ვართ.

**— ნაციონალებთანაც ითანამშრომლებთ?**

— დიახ, მინუს ერთი პოლიტიკური ძალა ჩემთვის არ არსებობს, შეცდომებს ყველა უშვებს. ამას არ უნდა გადავყვეთ. მით უმეტეს, მიუღებელია კოაბიტაციის დასრულებაზე საუბარი საპრეზიდენტო კანდიდატისგან. ეს მორიგი ტყუილია, რომელსაც კოალიცია გვთავაზობს. კოაბიტაცია ქვეყანაში ისედაც დასრულებულია — პარლამენტში უმრავლესობა „ოცნებას“ აქვს და მას მწყინვარწვერზე მოსიარულე პრეზიდენტი ხელს ვეღარ უშლის. ვინ უშლის ხელს ხელისუფლებას პენსიის გაზრდაში ან ვინ ეუბნება ყველა მშენებლობა შეაჩერეო?! ნაციონალების მიერ მოწყობილი საბოტაჟისაც არ მჯერა. ტყუილია, თითქოს, უწყებებში დღემდე ნაციონალების აქტივისტები მუშაობენ. მსგავსი საუბრებით მმართველი გუნდი საზოგადოებას „აბოლებს“ — ყველა მინისტრი თავისი გუნდით მოვიდა. კოალიცია ქვეყანას ვერ მართავს და ცდილობს, სხვას გადააბრალოს უმოქმედობა. თუ უწყებებში მართლა ფიქსირდება საბოტაჟის ფაქტები, მის გამომწვევ პირს სისხლის სამართლის პასუხისგებაში რატომ არავინ გადასცემს? მსგავსი ზღაპრები არავინ დაიჯეროს. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში „ბარდაგია“.



## შსს-ს ინფორმაციით, დიცში სიმშვიდეა

შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ სოფელ დიცში, მიუხედავად ბოლო 2-3 დღის განმავლობაში დაძაბული ვითარებისა, ამჟამად სიმშვიდეა და ე.წ. მესაზღვრეებიც აღარ მუშაობენ: **„საზოგადოებისა და მასმედიის მზარდი ინტერესიდან გამომდინარე, ბოლო დღეებში ოკუპაციის ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და ღობეების უკანონო მონტაჟის განახლებულ პროცესთან და რეგიონში მიმოსვლის კუთხით სხვადასხვა შემზღუდავი რეგულაციის შემოღებასთან დაკავშირებით, შსს თავს ვალდებულად მიიჩნევს, საზოგადოებას ამცნოს ამჟამად არსებული ვითარების შესახებ.**

**17 სექტემბერს გორის რაიონის სოფელ დიცში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, დღეს არსებული ვითარება მშვიდია. შსს-ს დანაყოფები აქტიურად აგრძელებენ ადგილზე პატრულირებას და მონიტორინგს. ვითარების კონტროლის, სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან. სამინისტრო ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის მიერ 18 სექტემბრისთვის დაანონსებული შეზღუდვების ძალაში შესვლის ფაქტებს ასევე არ ადასტურებს. შსს მკაცრად გმობს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში ნებისმიერი ტიპის შეზღუდვის დაწესების მცდელობას და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მკაცრი და ადეკვატური შეფასება მისცეს აღნიშნულ უკანონო ქმედებას“.**

სოფელ დიცში მავთულხლართების გავლება რუსმა სამხედროებმა 17 სექტემბერს აქტიურად დაიწყეს. ისინი სამუშაოებს სოფლის განაპირას ატარებდნენ, სადაც მიწის ნაკვეთები და საძოვრებია განთავსებული. პრობლემა შეიქმნა სოფლის მეორე მხარეს მდებარე სასაფლაოსთანაც, სადაც რუსი ოკუპანტების მიერ დამაგრებულ ბოძებს მიღმა რამდენიმე საფლავი და საცხოვრებელი სახლი მოჰყვა. ოკუპანტები ცინიკურად სთავაზობდნენ ქართველებს, მიცვალებულები ამოეთხარათ და გადაესვენებინათ.

სოფელ დიცში რუს სამხედროებსა და ქართველ ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირებაც მოხდა.

საქართველოს ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის შესაბამისი რეაგირების შემდეგ, 18 სექტემბერს, რუსმა ოკუპანტებმა მავთულხლართისთვის გათვალისწინებული რკინის ბოძების დემონტაჟი მოახდინეს და ტერიტორია დატოვეს.

მოგვიანებით, საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყების წარმომადგენლებმა, დიცში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაცია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გააცნეს. ამ თემაზე ისაუბრეს მთავრობის სხდომაზეც. სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განმარტებით, ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რომ დიცის მოსახლეობას მომავალში პრობლემები არ შეექმნას, თუმცა მავთულხლართების გავლების ფაქტი ზაქარეიშვილს არ აკვირვებს: **„სამწუხაროდ, მავთულხლართები გაიბმევა, რადგან ტერიტორიები უკვე წაგვართვეს. ხალხო, ოკუპაცია უკვე მოხდა, სააკაშვილმა დაუშვა ოკუპაცია. ეს დაახლოებით იგივეა, რომ ავარიაში მოყვე, ხელი დაკარგო და რაც უნდა იტირო, ვერაფერს უშველი. აქედან გამომდინარე, ოკუპაცია გაგრძელდება იქამდე, ვიდრე დეოკუპაცია არ მოხდება. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსახლეობას და ვეხმარებით კიდეც. როგორც სააკაშვილი ვერ უმკლავდებოდა რუსეთს ოკუპაციაში, ისე ჩვენ ვერ ვუმკლავდებით და ეს გრძელდება. ჩვენ ან სააკაშვილივით უნდა შევწიროთ მათ ჩვენი ჯარისკაცები, რაც მან გააკეთა და ვერაფერი მივიღეთ, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა ბიჭები დაიღუპნენ და ამდენი სოფელი დავკარგეთ, ან ასე არ მოვიქცეთ. არ ვიტყვი, რომ ჯარისკაცები უნდა შევწიროთ. ჩვენ გვინდა, მოსახლეობა არ წამოვიდეს იქიდან და დარჩეს ადგილზე. ჩვენი ამოცანაა, მავთულხლართებს ვუპასუხოთ მოსახლეობის ადგილზე დატოვების ფორმით“.**

სოფელ დიცის მკვიდრების უსაფრთხოებას, ამ დროისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები იცავს.

*„ვერსიანიუსი“*

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „მეცხრე არხის“ ჟურნალისტებთან ერთად, მაუწყებელზე გადაცემას ირაკლი კაკაბაძეც წაიყვანს?!

**საზოგადოებრივ მაუწყებელზე კარგა ხნის წინ დაწყებული პროცესი უხმაუროდ რომ არ ჩაივლიდა და მით უმეტეს, დასრულდებოდა, ძნელი გამოსაცნობი არავისთვის ყოფილა. გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის კიდევ ერთხელ მოხსნა, კონკურსი ახალი დირექტორის პოსტზე, მრჩეველთა სპეციალური საბჭოს შექმნა, ჭორები არხზე ხათუნა ბერძენიშვილის დაბრუნების შესახებ და ბოლოს, ორი ჟურნალისტის, კვესიტაძე-პაიჭაძის გაშვება მაუწყებლიდან ხელჩართული დაპირისპირებით დასრულდა. „ვერსია“ ჯერ კიდევ ინციდენტამდე წერდა, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ დახურული „მეცხრე არხიდან“ მაუწყებელზე ჟურნალისტების მასობრივი გადასვლა იგეგმებოდა. საუბარი ორ პოპულარულ ჟურნალისტზე, ეკა ბერიძესა და ნანა ლეჟავაზე იყო, რომელთაც არხზე ახალი თოქ-შოუები უნდა გაეკეთებინათ. ცოტა ხნის წინ, საინფორმაციო გადაცემების წამყვანად საზოგადოებრივ მაუწყებელზე „მეცხრეარხელი“ თამთა სანიკიძე მართლაც გამოჩნდა, თუმცა მეორე მხრივ, მრჩეველთა საბჭოს არაერთი წევრი ირწმუნებოდა, რომ არხი მალე ნაციონალების რევანშს შეეწირებოდა. მოკლედ, მაუწყებელი ისევ ორი პოლიტიკური ძალის ბრძოლის არენად იქცა!**



## საზოგადოებრივ მაუწყებელზე მომხდარი დაპირისპირების ექსკლუზიური დეტალები

ორიოდ დღის წინ, არხზე გენდირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტყემალაძემ, დავით პაიჭაძე და ეკა კვესიტაძე წინა ხელისუფლების სასარგებლოდ მიკერძოებაში დაადანაშაულა და ორივე გაათავისუფლა. კონფლიქტი ჯერ კიდევ 17 სექტემბერს დაიწყო, როცა კვესიტაძეს, როგორც არათანამშრომელს, დაცვა მაუწყებლის შენობაში არ უშვებდა. მოვლენები კიდევ უფრო დრამატულად 18 სექტემბერს განვითარდა, როცა კვესიტაძე-პაიჭაძის სპეცბრიფინგზე სიტყვით საკმაოდ აგრესიულად ჩაერთნენ საზოგადოებრივი მოძრაობის წარმომადგენელი ირაკლი კაკაბაძე და გია კორკოტაშვილი. ამ უკანასკნელმა ჟურნალისტები სააკაშვილის პოლიციური რეჟიმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა და განაცხადა: **„გეყოფათ, რაც წამლეთ და შხამეთ ხალხი, ახლა სხვა დროა“!** და ეს კვესიტაძის „ხმის ჩაკმენდის“ დრო აღმოჩნდა, როგორც მოგვიანებით კაკაბაძემ დააზუსტა. თავის მხრივ, გათავისუფლებულმა კვესიტაძემ განაცხადა, რომ მისი გაშვების გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს, ხოლო მანამდე, დავით პაიჭაძესთან ერთად, ბორდ-ის თანდასწრებით, თამაზ ტყემალაძესთან შეხვედრაც მოითხოვა. დაძაბულობა არც ამით დასრულებულა — მაუწყებლის შენობის წინ, იმავე დღეს ორი კონტრაქცია გაიმართა და კვესიტაძე-პაიჭაძის მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ფიზიკურადაც დაუპირისპირდნენ...

რა მოხდა, რეალურად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რატომ გათამაშდა მოხსნა-გაშვების თემაზე რამდენიმეაქტიანი ხმაურიანი სპექტაკლი და ვის ინტერესებში შედის არხის მუშაობის პარალიზება — „ვერსია“ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შეეცადა და დაპირისპირებულ სამივე მხარეს დაუკავშირდა. **ირაკლი კაკაბაძემ** აქტიურობის მიზანი, ნაწილობრივ, თავად გაგვიმხილა:

— მე და გია კორკოტაშვილი სამოქალაქო სოლიდარობის მოძრაობის რიგითი წევრები ვართ და ჩვენი მიზანია, ადამიანებს დეზინფორმატორების რჩენაში ფული არ ეხარჯებოდეთ. პირველ რიგში, ჩვენი, გადამხდელების ინტერესები უნდა დავიცვათ — საზოგადოებრივ არხზე პროპაგანდისტული გადაცემების ადგილი არ არის! ხომ კარგად ვიცით, რომ „რუსთავი 2“ ნაციონალებისაა და „მეცხრე არხი“ ივანიშვილის. სწორედ ამის დასაბალანსებლადაა საჭირო საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც პირველ რიგში უნდა მივხედოთ.

— **„მეცხრე არხიდან“ მაუწყებელზე ლეჟავა-ბერიძის გადასვლა, ფიქრობთ, არხის მიუკერძოებლობის გარანტია?**

— ჩვენ ვართ მხარე, რომელსაც სურს, საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური პროპაგანდისგან თავისუფალი იყოს. კვესიტაძე და პაიჭაძე კი ნაციონალების მიერ კარგად დაგეშილი პროპაგანდისტები იყვნენ! რაც შეეხება სხვა ჟურნალისტებს, მათი გადასვლის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულიც რომ იყოს, ისეთი კომპრომეტირებულები, როგორიც ეს ორია, არა მგონია, იყვნენ. რთული იქნება, კვესიტაძე-პაიჭაძეს მიკერძოებაში ვინმე გაეჯიბროს.

— **ისე, თქვენ არ იყავით, ერთი წლის წინ კვესიტაძეს რომ აქებდით, ერთადერთია, ვისაც ნორმალური გადაცემა მიჰყავსო?**

— ჩემი ფრაზა თავად კვესიტაძემ დაამახინჯა, ჩვენი პირადი საუბრიდან ამოიღო და დაჭრა... თუმცა მისთვის კომპლიმენტები ნათქვამი მაქვს და ამას არც უარვყოფ; არც იმას უარვყოფ, რომ იგი ჩემი ოჯახის ახლობელია, მასთანაც მქონდა ურთიერთობა და მის ძმასთანაც, ვიდრე ჯალათების გამართლებას დაიწყებდნენ, უბრალოდ, ამის მერე ჩემს თვალში ყველანაირი პატივისცემა დაკარგეს. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რაც შეიძლება ნაკლები კატაკლიზმი უნდა გადაიტანოს. დიდი ხანია, ვიცნობ ბორდ-ის თავმჯდომარე ემზარ გოგუაძეს, ასევე გენდირექტორის მოვალეობის შემსრულებელ თამაზ ტყემალაძეს... მათ ვესაუბრე კიდეც. ორივე პროფესიონალია და თქვეს, რომ აქვთ გეგმა, როგორ გახადონ ეს არხი უფრო რეიტინგული. ისინი საგანმანათლებლო გადაცემების წამოწევას აპირებენ. მეტიც, იგეგმება კიდევ ერთი არხის დამატება, რომელიც მთლიანად კულტურასა და განათლებაზე იმუშავებს! მსურს, არხზე არანაირი არეულობა არ მოხდეს. კვესიტაძე და პაიჭაძე თუ არ გააფუჭებენ საქმეს, არც არაფერი მოხდება — მათ შეცვლიან! ისინი ერთხელ უკვე შეიჭრნენ შენობაში და პრეს-კონფერენცია ჩაატარეს. ამბობენ, რომ ხელს შეუშლიან ახალ ხელმძღვანელობას მუშაობაში... ამის საშუალებას არ მივცემთ!

კვესიტაძის წინააღმდეგ ძალიან ბევრი კომპრომატი გვაქვს. საერთოდაც, მათი ჟურნალისტური საქმიანობა მათ წინააღმდეგ ისედაც ერთი დიდი კომპრომატია. აქტიურად ვიმუშავებთ, რათა ეს დეზინფორმატორები და პროპაგანდისტები ქართულ საზოგადოებრივ მედიასივრცეს მოშორდნენ. კერძო მედიაში მუშაობას კი ვერავის დავუშლით.

კაკაბაძის ბრალდებებსა და მუქარას „ვერსიისთვის“ ჟურნალისტმა **ეკა კვესიტაძემ** უპასუხა და განაცხადა, რომ გენდირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არათუ არხის განახლებას, გარკვეულწილად, უკუსვლასაც კი აპირებდა: **„ყველაფერი ძალიან მარტივადაა: ბიძინა ივანიშვილმა „მეცხრე არხი“ იმიტომ დახურა, რომ ის რეიტინგული ტელევიზია არ იყო, ხოლო მისი ჟურნალისტები პირველ არხზე გადმოიყვანა. ის მათ ფულს თავად უხდიდა, ახლა კი ბიუჯეტი გადაუხდის — ეს საკმაოდ ჭკვიანურია ივანიშვილის მხრიდან. პირველ არხზე „მეცხრედან“ უკვე 30-მდე ადამიანია გადმოსული. რაც შეეხება ირაკლი კაკაბაძეს, ამ იდიოტისა და არანორმალურის სიტყვებს სერიოზულად ვერ მივიღებ. არხის რა განახლებაზეა საუბარი, როცა თამაზ ტყემალაძემ პირველივე თათბირზე გამოგვიცხადა, ეთერში ნეკროლოგების აღდგენას ვაპირებო. კაკაბაძე იწყებს ჩემს კომპრომეტირებას? — დაიწყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს“.**

რამდენიმე კითხვით გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, **თამაზ ტყემალაძესაც** მივმართეთ, რომელიც მაუწყებელზე ეკა ბერიძის გამოჩენასაც ადასტურებს, არსებულ გეგმებზეც საუბრობს და მომავალში, არც არხის გენდირექტორად დარჩენის სურვილს მალავს:

— **ბატონო თამაზ, რატომ არ შეიძლებოდა, ჟურნალისტები უხმაუროდ გაგეთავისუფლებინათ, რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი?**

— ხმაურის დიდოსტატები და დემაგოგები თავად არიან და ამიტომ მოხდა ეს ამბავი. მათზე უკეთესი ჯერ არავინ გათავისუფლებულა, თუ რა?! გგონიათ, მოისვენებენ? კიდევ რაღაცებს გეგმავენ. გეგმონ, რამდენიც უნდათ — ამომავალი მზეა ეს კვესიტაძე, თუ მაგის გარეშე ეთერი ვერ გაკეთდება? არ მინდა, ბატონო, აგერაა ქვეყნის კერძო ტელევიზია და იქ მივიდნენ!

— **მაუწყებელი ისევ პოლიტიკური გარჩევების მსხვერპლია? — კვესიტაძე მომხდარს „მეცხრე არხიდან“ უამრავი ადამიანის გადმოსვლას უკავშირებს.**

— ამის გამო, ნამდვილად არაფერი მომხდარა, ეს სულ სხვა თემაა. ბევრი ახალი გეგმა გვაქვს და მალე იხილავთ ირაკლი კაკაბაძესაც და სხვა კულტუროლოგებსაც ამ არხზე... რაც შეეხება „მეცხრე არხიდან“ გადმოსულ ჟურნალისტებს, ჯერ ნახეთ, მოუსმინეთ ამ ხალხს და თუ პირველივე გადაცემაში რაიმე ოდნავ მაინც არ მოგეწონებათ, მერე ძალიან ვრცლად აგიხსნით ყველაფერს! არასოდეს დავუშვებ, საზოგადოებრივ არხზე ვინმემ მიკერძოებული გადაცემა წაიყვანოს.

— **თქვენი როლი რა არის დღეს ამ პროცესებში ან ახალი დირექტორის პოსტზე კონკურსის დასრულების შემდეგ რა იქნება?**

— ძალიან ბევრი რამაა საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასაკეთებელი. ბოლო 10 წელზე მეტია, არხი თანმიმდევრულად ინგრევა. ვეცდებით, ყველაფერი აღვადგინოთ და ვისაც აირჩევენ, ის იყოს დირექტორი, თუმცა წინ ჯერ კიდევ 1 თვეა და ვნახოთ, შესაძლოა, ამ პოსტზე განცხადება მეც შევიტანო.

## ვერსიანიუსი

# ზესტაფონში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს




ზესტაფონში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევა ზესტაფონში 18 სექტემბერს 12:11 საათზე დაფიქსირდა. „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა 1985 წელს დაბადებულ ხატია ძნელაძეს (გოგონა ავარიიდან მეორე დღეს გარდაიცვალა) საავტომობილო გზის გადაკვეთისას შეეჯახა: **„ავტომანქანის საჭეს 1976 წელს დაბადებული კახა ჭუმბურიძე მართავდა. მძღოლს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია. დაშავებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. მძღოლი მოწმის სტატუსით დაიკითხა“.**

კახა ჭუმბურიძე ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის დაცვის წევრია. შესაბამისად, მომხდართან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა მინისტრმაც: **„მინდა, გამოვეხმაურო მომხდარ სამწუხარო ფაქტს და პირველ რიგში, აღვნიშნო, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ჩემი ესკორტი შეეჯახა მოქალაქეს, შემდეგ კი სვლა განაგრძო, სამწუხარო ტყუილი და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაა. არც პირადად მე, არც ჩემი თანმხლები სხვა რომელიმე პირი იმ დღეს სამინისტროს შენობიდან, თბილისიდან არ გავსულვართ. ბაქოში ვიზიტის დაწყებისას გავიგე ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ. ჩემი დაცვის წევრი ოჯახის კუთვნილი მანქანით თავის ახლობლებთან ერთად მოძრაობდა ზესტაფონის მიმართულებით და მოახდინა შეჯახება ახალგაზრდა ქალზე.**

**ძალიან განვიცდი პიროვნულად მძღოლისა და დაზარალებულის ოჯახის წევრების, ორივე მხარის უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ცალკე თხოვნა მექნება მედიის წარმომადგენლების მიმართ — გთხოვთ, ნუ მისცემთ ამ შემთხვევას პოლიტიკურ დატვირთვას. ავტოავარია, თავისთავად, ტრაგედიაა მონაწილე მხარეებისთვის და, სამწუხაროდ, ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეემთხვეს. მესმის, პოლიტიკურად ცხელი შემოდგომაა, მაგრამ პატივი ეცით პირველ რიგში, ქალბატონის ოჯახს, მედიის ობიექტურობას“.**

*„ვერსიანიუსი“*

# ქართული ეკონომიკის აღორძინების ივანიშვილისეული გეგმა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია „საქართველო — 2020“, სამი მთავარი მიმართულებისგან შედგება. პირველი — კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მეორე — ადამიანური კაპიტალის განვითარება, როგორც მომავალი არსებობის ფუნდამენტი და მესამე — ფინანსური რესურსების ხელმიუწვდომლობა, რაც განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს უდიდეს პრობლემას უქმნის. საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ეკონომიკის ექსპერტებს შორის შეხვედრა, რომელსაც მთავრობის ეკონომიკური პროფილის მინისტრებიც ესწრებოდნენ, ინტენსიურ ხასიათს მიიღებს. ბოლოს და ბოლოს, ივანიშვილმაც აღიარა, რომ ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია და სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. შეხვედრის დეტალებზე „ვერსიას“ დამოუკიდებელი ანალიტიკოსი, დემურ გიორხელიძე ესაუბრება.**



## რაზე ისაუბრეს პრემიერმა და ეკონომიკის ექსპერტებმა, რა ბრალდებების მოსმენა მოუწევთ კალაძე-ფიფიას და რა მოლაპარაკებებს მართავს ივანიშვილი ბენზინის გასაიაფებლად?

**— ბატონო დემურ, რა ტიპის შეხვედრა გაიმართა ეკონომიკის ექსპერტებსა და პრემიერ-მინისტრს შორის, ეკონომიკის განვითარების რა სტრატეგიული გეგმა უნდა შეიმუშაოთ, რა პროცესი იწყება ქვეყანაში?**

— ეს უკვე შეხვედრები კი არა, ჩვეულებრივი სამუშაო რეჟიმია, სადაც უწვრილმანეს დეტალებში წარმოვაჩენთ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს იქნება რეგულარული შეხვედრები „ჰალსტუხების გარეშე“. ვფიქრობ, შესანიშნავი იდეაა, რადგან ჩვენ, ანალიტიკოსები, ღიად ვსაუბრობთ იმაზე, რაზეც თანამდებობის პირები პრემიერთან არ საუბრობენ. შესაძლოა, ერიდებიან კიდეც რამის თქმას. ივანიშვილმა მნიშვნელოვანი რამ თქვა — 27 ოქტომბრის შემდეგ, ჩვენ ვდგებით უდიდესი პრობლემის წინაშე, რასაც ეკონომიკა ჰქვია და რომელიც დაქცევის პირასაა მისული! თუ ეკონომიკას არ აღვადგენთ, ვერავინ შეძლებს იმ პრობლემების, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევას, რაც ქვეყანაშია. პრემიერმა შესანიშნავად აუღო ალღო ამ ვითარებას და უკვე გადაწყვეტილებაც მიიღო — მინისტრებს დაავალა, სასწრაფოდ მოამზადონ შესაბამისი, ინსტიტუციონალური ხასიათის გადაწყვეტილებები. მაგალითად, იმპორტზე დამოკიდებული ეკონომიკა უნდა დავანგრიოთ და კონკურენტუნარიან სფეროებში ექსპორტი გავაძლიეროთ. ამისთვის სპეციალური, ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო შეიქმნება, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ფარგლებში იარსებებს თუმცა ადგილობრივი ბაზრის დაცვაში პროტექციონისტული მეთოდების გამოყენებას კი არ ვგულისხმობთ, რაც აუცილებლად ჩიხში შეგვიყვანს, არამედ — სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის კონტროლის ცივილიზებული დასავლური ინსტიტუტების აღდგენას. თუკი ევროპისკენ ვისწრაფვით, რადგან სხვა გზა არ არსებობს, ბაზარი ცივილიზებულად უნდა დავიცვათ, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცით, რა დროში გამოავლენს მავნე შედეგებს ის საზიზღარი და უხარისხო პროდუქცია, რაც განუკითხავად შემოდის ქვეყანაში. სტატისტიკა არ გვაქვს, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ის მანკიერი პრაქტიკა, რასაც იმპორტის ხარჯზე, საბიუჯეტო სახსრების გათეთრება ჰქვია, უნდა დასრულდეს! ცხადია, მიამიტურ გადაწყვეტილებებს არ მივიღებთ. არ ვიტყვით, არიქა, იმპორტი ცუდია და საერთოდ მოვსპოთო. თუ სწორად ვაწარმოებთ იმპორტს, პირიქით, ეკონომიკის განვითარებას შევუწყობთ ხელს. შეხვედრაზე ვთქვი, რომ რაკი იმპორტის დიდი წილი სახელმწიფო შესყიდვებზე მოდის, მაშინ სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს წინასწარ ვაცნობოთ, რა სტანდარტის პროდუქციის შესყიდვა სურს სახელმწიფოს, რომ შესაბამისი პროდუქცია აწარმოოს. თორემ, რა გამართლება აქვს, როდესაც კვების პროდუქტებს შუა აზიის, ეგვიპტისა და ჩინეთის ბაზრებზე ვყიდულობთ, როდესაც შესანიშნავი ხარისხის პროდუქციის მოყვანა შეგვიძლია.

როგორც ცნობილია, დასავლეთში ადამიანის შემოსავალი მხოლოდ ხელფასი არ არის, ისინი სხვადასხვა პროცენტებს იღებენ. ასე თუ ისე, ხალხს დანაზოგი აქვს, რასაც ზოგი — მუთაქაში, ზოგი — ბანკში ინახავს, მაგრამ ეს დანაზოგი ეკონომიკაში არ მუშაობს. ამ დროს, სახელმწიფოს შეუძლია სახაზინო ვალდებულებები, იგივე ფასიანი ქაღალდები გამოუშვას, რაც ახლა ყველასთვის ხელმიუწვდომელია. ფასიანი ქაღალდების ბაზარი განვითარებულიც კი არ არის ქვეყანაში, არადა, შეგვიძლია, კერძო და იურიდიულ პირებს ფასიანი ქაღალდები მივყიდოთ, რომლებიც სამი თვის, ან ერთი წლის შემდეგ, გარანტირებულად კარგი პროცენტით დაუბრუნდებათ. სწორედ ასეთი ცივილური ბაზრები უნდა აღვადგინოთ, რაც ეკონომიკური რეფორმების უბედურმა „მამამ“, კახა ბენდუქიძემ ვითომ გააკეთა. საბაზრო ეკონომიკაზე თუ საუბრობ, სწორედ ასეთი ინსტიტუტები უნდა გააძლიერო და სულელური განცხადებები არ უნდა აკეთო, თითქოს ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს. სინამდვილეში, თუ კონკურენტული გარემო არ არის, თუ თამაშის წესები არ გაქვს, თუ კანონი არ კანონობს, ბაზარი არაფერს არეგულირებს!

**— ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინების შეუქცევადი პროცესი იწყება. სამწუხაროდ, ამ პროცესს ვერ ვხედავ, ინფლაციის საფრთხეა, რადგან ცალკეული პროდუქტები ძვირდება. მინისტრები ბიძინა ივანიშვილს რეალურ ვითარებას უმალავენ და ექსპერტებს „უჰალსტუხოდ“ ამიტომაც გხვდებათ?**

— ვფიქრობ, რეალობა სხვაგვარად უნდა დავინახოთ. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ საქართველოს ეკონომიკაში, ცალკეულ ადამიანებსა და ბუნებრივ რესურსებში სერიოზული წარმატებისთვის პოტენციალი არსებობს. ფაქტია, რომ ეკონომიკური აღორძინება არ გვაქვს. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური ახსნა აქვს. სუბიექტურ ფაქტორებში იმას ვგულისხმობ, რომ ამ ხნის მანძილზე, მთავრობა საკუთარ გადაწყვეტილებებში ინტენსიური არ ყოფილა. გამოითქვა კიდეც მოსაზრება, რომ სასწრაფოდ მივიღოთ საკანონმდებლო ცვლილებები, სწრაფი გადაწყვეტილებებია საჭირო, რაც პროცესს მკვდარი წერტილიდან დაძრავს. ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ ჩვენი შენიშვნებისა და მითითებების შემდეგ, ივანიშვილმა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე ისაუბრა და პირველ ეტაპზე, 50 000 000 ლარის მოცულობის ფონდი შეიქმნება. შეხვედრაზე დავსვი საკითხი, ეროვნული სამსახური შეიქმნას, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის ზემდგომი კი არა, პარტნიორი ორგანიზაცია იქნება. ვგულისხმობ, ფინანსურ და იურიდიულ კონსულტაციებს, რათა ადამიანებს საშუალება მივცეთ, საქმიანობა დაიწყონ.

**— რამდენიმე თვის წინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილს ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე ვკითხეთ, განაწყენდა — ასე მოკლე დროში, აღორძინებას რატომ ელოდებითო. ახლა აღიარებს, რომ სერიოზული პრობლემაა?**

— კარგად მახსოვს ეს კითხვაც და მისი პასუხიც... ამ ხნის მანძილზე, ხშირად ვაკრიტიკებდი მთავრობას, რადგან ის ტემპი და მიზანდასახულობა არ მაკმაყოფილებდა, თორემ პერსონალურად, შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს თითოეულ მინისტრთან და სუბიექტური მოსაზრებები არ გამაჩნია. დიახ, ეკონომიკაში პრობლემაა, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა მოუწყობელია, სრული ქაოსი და განუკითხაობაა, ვიწრო პარტიული ინტერესი დომინირებს და ამან დააჩოქა ქვეყანა. პრემიერმა ღიად ისაუბრა იმ რეალობაზე, რაც მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული, არადა სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის, მათ შორის, ზოგიერთი პროდუქტის გაძვირებულ ფასთან მიმართებაში...

**— კონკრეტულად, რომელი პროდუქტის ფასს გულისხმობდა პრემიერი?**

— დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ეს პროდუქტები რომ ძვირია, ჩვენი ბრალი არ არის, ფასის წარმოქმნა სხვა ქვეყნებს უკავშირდება. პრემიერი ცდილობს ამ ქვეყნებთან მოლაპარაკებას, რადგან თავის დროზე, წინა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა და ქვეყანაში ისეთი ბიზნეს-ინტერესები შემოუშვეს, რომლებიც თამაშის წესებს არ ექვემდებარება. სინამდვილეში, ნაცმოძრაობამ ეს თამაშის წესებიც საკუთარ ინტერესებსა და წუთიერ მოგებაზე გათვალა. აი, ეს რთული პრობლემა დახვდა ახალ მთავრობას და პრემიერს, მაგრამ გარწმუნებთ, მან ზუსტად იცის, ვის უნდა ესაუბროს ქვეყნის გარეთ.

**— არ აკონკრეტებთ, მაგრამ თუ ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს გულისხმობთ, საწვავი ხომ 20 თეთრით გაიაფდა?**

— ეს საკმარისი არ არის! უდიდესი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ პრემიერი ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობს. არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც, შესაძლოა, ვინმეს ეგონოს...

**— გამოდის, რესურსი არსებობს, რომ საწვავი კიდევ უფრო გაიაფდეს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. ის კონკურენტული გარემო, რომელიც მალე შეიქმნება, ხისტი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელზეც განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას, ამის გარანტიაა. შეხვედრაზე ზერელედ არაფერი გვითქვამს პრემიერისთვის, რადგან იმ პროფესიონალური დონის ადამიანები არ ვართ, რომლებიც მხოლოდ ემოციურ და სუბიექტურ განცხადებებს აკეთებენ. კარგი ფორმა მოძებნა პრემიერმა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაგვიანებით. ეს მექანიზმი რომ არჩევნების შემდეგ ამუშავებულიყო, დღეს გაცილებით უკეთესი შედეგი გვექნებოდა, თუმცა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. იცით, მომდევნო შეხვედრის თემა რა იქნება? რა არ გააკეთა ამ ხნის მანძილზე მთავრობამ, რა უნდა გაკეთებულიყო და სასწრაფო წესით, როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა. სკურპულოზურად უნდა ავხსნათ, რა არ გაკეთდა ამ თვეებში და რატომ.

**— რა არ გაკეთდა, რომელ უწყებაში და ვინ არ გააკეთა?**

— ასობით კანონშია ცვლილებები შესატანი, რადგან კეთილი ნება და სურვილი საკმარისი არ არის, თუ ეს ყველაფერი კანონში არ აისახება. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე — ქვეყნის გარეთ, ინვესტორები კარგად ფლობენ საქართველოს კანონმდებლობას. როდესაც ქვეყნის კანონმდებლობა მოწესრიგებული არის და გარედან ფულს ელოდები, მიუღებელია. შეხვედრაზე ვთქვი, გარეთ რას ვეძებთ, როდესაც შარშან, 7 მილიარდი ლარი, სუფთა მოგების სახით დარჩა საქართველოს კომპანიებს. ამ 7 მილიარდი ლარიდან, არაფერი ჩაბრუნებულა ეკონომიკაში, რადგან გაურკვევლობა და ცუდი მოლოდინი იყო. კანონმდებლობაა ისეთი, რომ თუ ჩინოვნიკი მოინდომებს, შეუძლია, პრობლემები შექმნას, სამართლებრივი ინფრასტრუქტურაც მოშლილია, რადგან სასამართლო ვილაცის მიერ, კაბინეტში მიღებული გადაწყვეტილების ნოტარიული დამმოწმებელია. ყველაზე სწრაფად უნდა მოვაგვაროთ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხი, რადგან ეს ბიზნესის დომინირებული სეგმენტია.

**— კონკრეტულად, რა დავალებები მიიღო ნოდარ ხადურმა, გიორგი კვირიკაშვილმა, კახა კალაძემ, დავით ნარმანიამ და შალვა ფიფიამ?**

— საკმაოდ ხისტი განცხადება გავაკეთე სოფლის მეურნეობის მინისტრის მისამართით. პირდაპირ ვუთხარი პრემიერს, რომ შალვა ფიფიას მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებ. ივანიშვილმა მომენტალურად მიიღო გადაწყვეტილება — 25 სექტემბერს სოფლის მეურნეობის მინისტრს შევხვდებით. პრემიერმა კომუნალურ ტარიფებთან დაკავშირებით თქვა, რომ მათი გაიაფების რეზერვი არ არის, რასაც არ დავეთანხმე. პირიქით, ტარიფის ოპტიმიზაცია აუცილებელია, რათა დენის სამსაფეხურიანი სატარიფო სისტემა მოისპოს. ამ შემთხვევაშიც სწრაფი რეაქცია ჰქონდა — უახლოეს დღეებში, კახა კალაძეს შევხვდებით და ამ ყველაფერს ავუხსნით. ჩვენ ძალიან მოურიდებლად ვიმოქმედებთ, ოღონდ ვითარების გამოსასწორებლად და არა კონკრეტული მინისტრების წინააღმდეგ. ზოგადად, პოლიტიკაში პიროვნული წარმატებების არ მჯერა. პოლიტიკა გუნდური თამაშია და პრემიერი იქითკენ მიდის, რაც შეიძლება, მძლავრი გუნდი შეკრიბოს. ამ დროს თამაშიდან მისი გასვლა გამართლებული არ არის. ივანიშვილი რომ პარლამენტის თავმჯდომარე ან მხოლოდ პარტიის ლიდერი იყოს, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ დღეს ქვეყნის მთავარი ღერძი მთავრობაა...

**— ანუ ვიდრე ეკონომიკურ პრობლემებს არ მოაგვარებს, ივანიშვილი თამაშიდან არ გავა?**

— ჩვენი შეხვედრის განწყობით თუ ვიმსჯელებთ, პრემიერი საკმაოდ სერიოზული საქმისთვისაა მზად. ის მობილიზებულია და ასეთი ინტენსიური მუშაობა მიუთითებს იმაზე, რომ ეს პროცესი მისთვის მისაღებია.

## ვერსიანიუსი

### მსოფლიოში ოქრო იაფდება, საქართველოში — არა



ოქრომ ბრწყინვალება დაკარგა — ბოლო ერთ კვირაში თითქმის 6%-ით გაიაფდა და ნიუიორკის საფონდო ბირჟაზე მისმა ფასმა უნციაზე 1292 დოლარი შეადგინა. იანვრიდან დღემდე ძვირფასი ლითონის ფასმა უკვე 22%-ით მოიკლო. ინვესტორებმა ნედლეულის მიმართ ინტერესი დაკარგეს. უცხოელი ექსპერტების ვარაუდით, ოქროზე ფასების კლების ტენდენცია კვლავ გაგრძელდება. საერთაშორისო ბაზრებზე ფასების რყევამ საქართველოში ოქროს მრეწველობა უკვე დააზარალა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წელს, იანვარ-მაისში საქართველოდან ძვირფასი ლითონის ექსპორტი, შარშანდელთან შედარებით, 5,3 მლნ აშშ დოლარით (დაახლოებით, 11%-ით) შემცირდა და 41,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება ადგილობრივ საცალო ბაზარს, უკვე ოთხი დღეა, ყველა სინჯის ძვირფასი ლითონი 2 ლარით გაიაფდა. 583 სინჯის ოქროს ჩაბარების ფასი 44 ლარია, 750 სინჯზე – 56 ლარი, ხოლო 958 სინჯზე კი – 72 ლარი. ფასის კლება უმნიშვნელოა, ამიტომ ოქროს ბაზრობებზე მყიდველების დიდი აქტიურობა არ შეინიშნება.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „სექსის კულტურის სწავლება ჯანმრთელი და სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების გარანტიაა“

**ბავშვთა სექსუალური აღზრდისადმი მიდგომა უკანასკნელი წლების განმავლობაში არსებითად შეიცვალა. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ოჯახური ცხოვრებისთვის მომავალი თაობის მომზადება ჩვენზე, უფროსებზეა დამოკიდებული. მოზარდთა სწორი აღზრდით თავიდან ავიცილებთ სექსუალურ ნიადაგზე განვითარებულ ფსიქიკურ ტრავმებს და ნევროზებს, შევძლებთ, დავიცვათ მომავალი სექსუალური პათოლოგიისგან, რომელთაც უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლიათ. ბავშვთა და მოზარდთა სექსუალობის შესახებ სპეციალისტთა შორის არსებობს განსხვავებული შეხედულებანი. აღნიშნულ საკითხებში უკეთ გასარკვევად, „ვერსია“ ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიის ერთ-ერთ ფუძემდებელს საქართველოში, მედიცინის დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მ. ასათიანის სახელობის პრემიის ლაურეატს, პროფესორს, აკადემიკოს მირიან მესტიაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო მირიან, რა ასაკიდან ავლენს ბავშვი სექსუალობის ნიშნებს?**

— სექსუალურობის ელემენტარული რეციები (ერექცია, ონანიზმი და სხვა) ბავშვმა შეიძლება გამოავლინოს 2-დან 3 წლის ასაკში, ხოლო 4-6 წლის ასაკში იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია ავხორცული შეგრძნებების განცდა, ორგაზმის მსგავსი შეგრძნებები. ეს რეაქციები დასაწყისში უნებური და გაუცნობიერებელია. მცირე ასაკში ისინი ჯერ კიდევ არაა დაკავშირებული სქესობრივ ლტოლვასა და სქესობრივი მიკუთვნების განცდასთან (გოგო თუ ბიჭი) 2-3 წლის ბიჭუნებში ერექცია რეფლექსური ხასიათისაა და განპირობებულია სასქესო ორგანოს ზონის გაღიზიანებით (უფრო ხშირად ანთებითი პროცესით, შედარებით იშვიათად — შარდზე გასვლით), თუმცა ზოგჯერ, ერექცია შესამჩნევი მიზეზის გარეშეც ვითარდება. 10-14 წლის ასაკში ერექციას ხშირად გახანგრძლივებული ხასიათი აქვს და საათობით გრძელდება. ასაკის მატებასთან ერთად, ერექციის გამომწვევი გამღიზიანებელთა ჯგუფი თანდათან მცირდება და ეს უნებლიე რეაქცია გაცნობიერებულ და მიმართულ ხასიათს იღებს.

ზოგიერთი ბავშვი 8-9 თვის ასაკში ონანიზმის მსგავს მოქმედებებს ამჟღავნებს. მათ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ბარძაყების შიგნითა ზედაპირზედა სასქესო ორგანოებზე შეხება, აგრეთვე ცალკეული მედიკამენტების ზემოქმედება და სამედიცინო პროცედურების, მაგალითად ოყნის გაკეთება. ეს მოვლენები სათანადო ჰიგიენური ღონისძიებებისა და მკურნალობის შემდეგ, ხშირად უკვალოდ ქრება და ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე გავლენას არ ახდენს. უფრო ხშირად, 10-12 წლის ასაკში ძლიერი შიშის დროს ან დასჯის მოლოდინში, ზოგიერთ ბავშვს უვითარდება ორგაზმის მსგავსი განცდა. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ იმ მშობლებმა, რომლებიც ზომაგადასულ სიმკაცრეს და ფიზიკურ დასჯას მიმართავენ. ასეთ პირობებში გაზრდილმა ბავშვმა, სხვადასხვა მავნე ფაქტორის გავლენით, შეიძლება გამოავლინოს სექსუალური აშლილობა მაზოხიზმის სახით.

სექსუალური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სქესობრივი ლტოლვა. უკვე ადრეულ ასაკში განსხვავებულია გოგონებისა და ბიჭების როგორც ქცევა, ისე მათი დამოკიდებულება საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი. საბავშვო ბაღის ასაკის ბიჭები უფრო მეტად ერთმანეთთან თამაშობენ ან ჩხუბობენ ან სცემენ გოგონებს. გოგონები კი ამ ასაკში უკვე იპრანჭებიან. 6-7 წლისთვის არაიშვიათია საკუთარი სასქესო ორგანოების დემონსტრირება, რაც უკვე ყურადღების მოპყრობის ინსტინქტური ცდაა. 4-6 წლის ასაკში მჟღავნდება სირცხვილის გრძნობა, რაც მეორადი სასქესო ნიშნების (თმიანობის გაჩენა, სარძევე ჯირკვლების ზრდა, ხმის ტემბრის და სხეულის პროპორციების შეცვლა) გამოვლინებისას კიდევ უფრო მატულობს. სირცხვილის გრძნობა დასაწყისში ვლინდება ყველას მიმართ, ხოლო შემდეგ მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებისადმი. საინტერესოა ბავშვთა თამაშის თავისებურება, რომლის ზოგიერთი სახეობა 6-8 წლის ასაკიდან („მამობანა“, „დედობანა“, შვილობანა ან თამაში ერთმანეთის გახდით) უკვე შეიცავს სექსუალური ხასიათის ელემენტებს. ეს თამაშები ჩვეულებრივ სრულიად უვნებელია, მაგრამ მოითხოვს მშობლების ყურადღებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათში მონაწილეობს შედარებით უფროსი ასაკის

## ბავშვთა და მოზარდთა სექსუალური განვითარების დარღვევები და მათი შორეული შედეგები



ბავშვი. გარკვეული სექსუალური ელფერი დაჰკრავს აგრეთვე ზოგიერთი ბავშვის ზედმეტ დაინტერესებას ცუდი სიტყვების, გინების და სექსუალური შინაარსის ნახატების მიმართ, თუმცა ყოველივე ამას შეიძლება ჰქონდეს ყურადღების მიპყრობისა და თვითდამტკიცების დანიშნულება ან მოსმენილის უბრალო გამეორება იყოს. ამრიგად, 4-10 წლის ბავშვები უკვე ამჟღავნებენ გარკვეულ სექსუალურ ინტერესს. ამ ასაკის გოგონები ზედმეტად იპრანჭებიან, ზოგჯერ ეხვევიან და კოცნიან ბიჭებს, მომეტებულ ყურადღებას ავლენენ თავიანთი სასქესო ორგანოების მიმართ. ბიჭებისთვის კი დამახასიათებელია ქალის გენიტალური მიდამოებისა და ფეხების შეხებისადმი სწრაფვა ნათესავი ან უცხო ქალის მოხვევის, ჩახუტების სურვილი... ზოგიერთი მკვლევარი ბავშვთა სექსუალურ მოქმედებებს პირობითად აკუთვნებს პერიოდულად გამოვლინებულ ენისა და თითების წოვას, ფრჩხილების კვნეტას, ცხვირის ჩიჩქნას, თმის, წარბებისა და წამწამების ამოგლეჯას, ქუთუთოებისა და ყურების სრესას, გენიტალური მიდამოს დაზელას და სხვა. მართალია, ბევრი სპეციალისტი ასეთ შეხედულებას არ იზიარებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნაადრევი სქესობრივი მომწიფების დროს ფსიქონევრული დაავადებებით შეპყრობილ ბავშვში ამ მოქმედებებმა შეიძლება მიიღოს სექსუალური ელფერი, სქესობრივი ლტოლვის ნაადრევ გამოვლინებას ხელს უწყობს სქესობრივი სტიმულირება, რასაც ხშირად უნებურად იწვევენ მშობლები. ერთ შემთხვევაში სტიმულირებას განაპირობებს მშობელთა არასწორი ქცევა (დედის გაშიშვლება ბიჭუნას წინაშე, ბავშვის დახმარება ჩაცმის დროს ან ხშირი კოცნა და ალერსი განსაკუთრებით ძილის წინ). სხვა შემთხვევაში, სქესობრივი სტიმულირება შეიძლება მოხდეს, როცა ბავშვი ქრონიკული დაავადებების გამო საწოლსაა მიჯაჭვული და ეძებს გასართობს ან განტვირთვის საშუალებას. სამწუხაროდ, ასეთ განტვირთვას იგი ხშირად აღწევს ონანიზმის საშუალებით. ზოგჯერ ბავშვებს სექსუალურობას უღვიძებს მშობლების ამორალური ქცევა, სექსუალური შინაარსის ხუმრობა და ანეკდოტები, ბაღებსა და სკვერებში წყვილთა წრეგადასული ალერსი, ზოგიერთი კინოსურათი და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა სქესობრივი სტიმულირების ისეთ ფორმას, როგორიცაა ბავშვის ფიზიკური დასჯა. განსაკუთრებით, წამორტყმა შიშველ საჯდომზე. არის შემთხვევები, როცა ასეთი ფიზიკური ზემოქმედებით ბავშვი სასიამოვნო შეგრძნებას განიცდის, ზოგჯერ ერექციაც უვითარდება და მისგან გათავისუფლების მიზნით იწყება ონანიზმი.

**— როგორ ან რა ასაკიდან ვლინდება ბავშვთა სქესობრივი განვითარების დარღვევა?**

— ბავშვთა სქესობრივი განვითარების დარღვევა ვლინდება სამი სახით. პირველ შემთხვევაში ირღვევა განვითარების ტემპი, მეორეში თვით პროცესის შინაარსი, ხოლო მესამე შემთხვევაში მჟღავნდება სქესობრივი ლტოლვის ეფექტი. განვითარების ტემპის დარღვევა ვლინდება ნაადრევი ან დაგვიანებული მომწიფებით. თვით განვითარების შინაარსის დარღვევა, უპირატესად, კუთვნილების გრძნობის გაუკუღმართებით. სქესობრივი ლტოლვის დეფექტი ვლინდება ჰომოსექსუალიზმის, პედერასტიის, მაზოხიზმისა და ლესბოსური სიყვარულის სხვათა სახით. სექსუალური პათოლოგიის ყველა ჩამოთვლილი ფორმა ხასიათდება გარკვეული სოციალური შეუგუებლობის, ასევე ავადმყოფთა სწორი სოციალური პერსპექტივის შეზღუდვით და საზოგადოებასთან კავშირების შემგუებლობის დაქვეითებით. საკუთარი სქესობრივი კუთვნილების გრძნობის ფორმირება მთავრდება სამი წლის ასაკისთვის. შემდეგ ყალიბდება ქალის ან მამაკაცის შინაგანი პოზიცია.

სექსუალური განვითარების დარღვევის ზოგიერთ შემთხვევაში, გოგონები ავლენენ ბიჭურ (მასკულინურ), ხოლო ბიჭები ქალურ (ფემინისტურ) ქცევას, რაც გამოიხატება არა მარტო ქცევაში, არამედ ჩაცმულობაშიც. მართალია, ბიჭების ფემინიზაციასა და გოგონების მასკულინიზაციას იწვევს ზოგიერთი ნევროლოგიური პათოლოგია, მაგრამ ხშირად, ვაჟებში ქალური თვისებების გამომუშავებას ხელს უწყობს მშობლებისა და უფროსი დების ზედმეტი მეურვეობა, ბიჭის ქცევაზე განსაკუთრებით მკაცრი კონტროლის დაწესება (ამით ხელოვნურად იქმნება სათბურის პირობები!). არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბიჭების ზედმეტად განებივრებულ აღზრდას, რაც იწვევს მათი კუნთოვანი სისტემის მოდუნებას, მფრთხალობას. უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ბიჭების დაინტერესება გოგონების სათამაშოებით. ბიჭების ფემინიზაციას ხშირად ხელს უწყობს დედის ემოციური სიცივე, სიმკაცრე. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ორიენტაციას იღებს მორჩილ და მუდმივად დამთმობ მამაზე, ხდება პასიური, გაუბედავი და ფრთხილი. ბიჭების ფემინიზაციაში გარკვეული როლი ენიჭება გოგონას მოლოდინში დაბადებული ვაჟის ქალურ აღზრდას, როცა ბავშვს თავს ახვევენ მისი სქესისთვის უცხო ქცევის სტილს. ასეთ გადახრებს ვხვდებით იმ ოჯახებშიც, სადაც მშობლები ბავშვებთან ერთად იძინებენ ერთ საწოლში ან ბანაობენ მათთან ერთად. გოგონების ქალაბიჭობასაც მსგავსი ფაქტორები განაპირობებს, მხოლოდ საწინააღმდეგო ზემოქმედებით სქესის შეგრძნების დაკარგვა იწვევს პიროვნების სერიოზულ ცვლას საზოგადოებაში თავისი ადგილის გაურკვევლობას, იმედგაცრუებას და ხშირად დეპრესიული მდგომარეობის განვითარებას. ამის ხშირი შედეგია ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და დანაშაულებრივი ქმედებები მათი მხრიდან.

**— საჭიროა თუ არა სექსზე ბავშვთან საუბარი?**

— ვფიქრობთ, ბავშვს უნდა მიეცეს აუცილებელი ცნობები სექსის შესახებ იმ ზომით, როგორ ინტერესსაც იჩენს იგი ამ საკითხის მიმართ. მშობლების უარყოფითი რეაქცია სექსის საკითხებზე ბავშვს იძულებულს ხდის, პასუხი ეძებოს ქუჩის „განმანათლებლებთან“, სადაც ხშირად იღებენ დამახინჯებულ, ცინიკურ ინფორმაციას. დადგენილია, რომ ბავშვები და მოზარდები სექსის საკითხებზე ინფორმაციის მხოლოდ 20%-ს იღებენ მშობლებისა და მასწავლებლებისგან. სქესობრივი განათლება აუცილებლად დოზირებულად უნდა მიეწოდოს ბავშვს, მაგრამ იგი არ უნდა ამოიწუროს სქესობრივი სფეროს ანატომიური და ფიზიოლოგიური საკითხებით და ჰიგიენური რეკომენდაციებით. სქესობრივი აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ბავშვის ზნეობრივ აღზრდას. ამისთვის ოპტიმალურ ასაკად მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს 10 წელს. რასაკვირველია, ეს მონაცემი არ არის დოგმა და მოსალოდნელია გარკვეული მერყეობა სხვადასხვა ფაქტორის გამო. მრავალი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ელემენტარული სქესობრივი განათლება უნდა დაიწყოს 2-3 წლის ასაკიდან, რათა ბავშვი გაერკვეს სქესობრივ კუთვნილებაში. რაც შეეხება პორნოგრაფიულ ფილმებს, ისინი ბავშვებს უძლიერებს ინტერესს სექსისადმი და რაც ყველაზე ცუდია, ზოგჯერ ბავშვები გადადიან ფილმში ნანახის პრაქტიკულ განხორციელებაზე, ახდენენ თავიანთი სასქესო ორგანოების დემონსტრირებას და ცდილობენ, თავისი შესაძლებლობებით თანატოლებზე მოახდინონ ეროტიკული ზემოქმედება. სქესობრივი ლტოლვის რეალიზაციის შესაძლებლობა და ამასთანავე, ეროტიული ფანტაზიის შეუზღუდაობა იწვევს მოზარდის ფსიქოემოციურ დაძაბვას. ასეთი მდგომარეობის ხშირად გამეორებამ შეიძლება გამოიწვიოს ქცევის მოშლის სხვადასხვა სახე (სქესობრივი ძალადობა, ონანიზმი, აფექტურება, აგრესიული ქცევა) არ არის გამორიცხული, სექსუალური სიძნელეები ასეთ მოზარდთა შემდგომ ცხოვრებაშიც.

არ იფიქროთ, რომ წინააღმდეგი ვარ ადამიანის სხეულის ფიზიკური სილამაზისა და მშვენიერების გამომხატველი სურათების ჩვენებისა. არც იმას ვფიქრობ, მოზარდებმა არ უნდა ისაუბრონ სექსზე. მთავარია, ჩვენ, უფროსებმა დავიცვათ მომავალი თაობა გაუკუღმართებული, არაესთეტიკური ინფორმაციის მიღებისგან.

სწორი სქესობრივი აღზრდა, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, შეამცირებს გონებრივად და ფიზიკურად ეფექტურ ბავშვთა დაბადებას, საბავშვო სახლებში დატოვებულ ბავშვთა რიცხვს.. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ სქესობრივი ლტოლვისადმი დამორჩილება ზოგჯერ მთავრდება სხვადასხვა ვენერიული დაავადებით, ჰომოსექსუალიზმით, პროსტიტუციით და საუკუნის საშიში სენით — შიდსით.

სექსის კულტურის სწავლება ჯანმრთელი და სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების გარანტიაა.

## ვერსიანიუსი

### ლეიკემიით დაავადებული ბავშვები განათლებას მკურნალობის შეწყვეტის გარეშე მიიღებენ

ამის შესახებ ინფორმაციას შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი დავით სერგეენკო ავრცელებს: **„ბავშვებს, რომლებიც მკურნალობის კურსს გადიან, ყველა საჭირო პირობა უნდა შევუქმნათ, მათ შორის უნდა მივცეთ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება. ამისთვის, განათლების სამინისტროს აქვს ძალიან კარგი პროექტი, რაც ითვალისწინებს ლეიკემიით დაავადებული ბავშვების განათლებაზე ზრუნვას, მკურნალობის შეწყვეტის გარეშე. ესაა უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებმა ერთად შეიმუშავეს“.**

***„ინტერპრესნიუსი“***



# რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 2011 წლიდან დღემდე წარმოება გასამმაგდა — წლის ბოლოს 40 000 ტონა უნაკერო მილსა და 100 000 ტონა ფოლადს გამოუშვებენ!

**სამშაბათს, 17 სექტემბერს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მედია-ტური მოეწყო. წამყვანი მედია-საშუალებების წარმომადგენლები ქარხნის პრეზენტაციას დაესწრნენ და ხელმძღვანელობასაც შეხვდნენ. ჟურნალისტები წარმოების პროცესს გაეცნენ, ადგილზე ნახეს ფოლადის ჩამოსხმა, კვადრატული ნამზადის, არმატურისა და უნაკერო მილების წარმოება. 2011 წლიდან დღემდე, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ფოლადის გამოშვების პროცესი გაასამმაგა, ქარხნის წამყვან საამქროებში წარმოება გაიზარდა და პროდუქციის ხარისხიც გაუმჯობესდა.**

## ფარუქ სიდიკი: „2 100 თანამშრომლიდან, მხოლოდ ექვსი უცხოელია, დანარჩენები ქართველები, ძირითადად, რუსთაველები არიან“



რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წლიდან დაიწყო. ქარხანასთან ერთად, თბილისთან ახლოს მდებარე, ისტორიული ლორეს ინფრასტრუქტურაც მოეწყო და ძველი, ბარაკების ტიპის დასახლების ნაცვლად, თანამედროვე ქალაქი გაშენდა. ძველსა და ახალ რუსთავში, ძირითადად, რუსთავის მეტალურგიული, აზოტისა და ქიმიური ქარხნების მომსახურე პერსონალი დასახლდა. უკრაინელი და რუსი სპეციალისტების დახმარებით, პირველი ფოლადიც გამოადნეს და მილსაგლინავ საამქროში მილებიც გამოუშვეს...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მძიმე მრეწველობასაც ისევე გაუჭირდა, როგორც ბიზნესის სხვა დარგებს. მძიმე მრეწველობის მოშლა კი ქვეყნის ეკონომიკაზე ყველაზე მეტად აისახა, რადგან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციას ექსპორტში დიდი წილი უჭირავს. სამუშაო პროცესის 20-წლიანი წყვეტის შემდეგ, 2011 წლიდან ქარხანამ მუშაობა განაახლა. ქარხნის მფლობელებმა და ახალმა მენეჯმენტმა, მასშტაბური რეკონსტრუქციისა და განვითარების კურსი აიღო, რათა ისეთი საწარმო შექმნას, რომელიც მაღალი ხარისხის პროდუქციას გამოუშვებს, როგორც საქართველოს, ასევე — უცხოელი მომხმარებლებისთვის.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომერციული დირექტორის, **ირაკლი აბაზაძის** განცხადებით, შპს „რუსთავის ფოლადი“ გეგმავს ქარხნის რეკონსტრუქციის პროგრამის ფარგლებში, 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას, რათა განავითაროს თუჯის, ფოლადის, უნაკერო მილებისა და არმატურის წარმოება:

**„რუსთავის მეტალურგიული ქარხანა არმატურას, უნაკერო მილებს, კვადრატულ ნამზადს, თუჯს, ლითონ-კონსტრუქციებს, მექანიკურ დეტალებსა და სხვა პროდუქციას აწარმოებს, რაც წარმატებით იყიდება როგორც საქართველოში, ასევე — მის ფარგლებს გარეთაც. უნაკერო მილების ექსპორტი ხორციელდება აშშ-ს, ევროპისა და დსთ-ს ბაზრებზე. კვადრატული ნამზადისა და არმატურის ექსპორტი კი ახლო აღმოსავლეთში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 2012 წლიდან ქარხანამ უნაკერო მილების წარმოება განაახლა, არმატურისა და თუჯის გაყიდვები გაზარდა და კვადრატული ნამზადის ექსპორტი დაიწყო. 2012 წელს, ქარხანამ 8 000 ტონა უნაკერო მილი გამოუშვა, 2013 წელს კი 40 000 ტონის წარმოებაა დაგეგმილი. 2014 წლიდან, მილების წარმოების მოცულობა, წელიწადში 80 000 ტონამდე გაიზრდება“.**

ირაკლი აბაზაძემ ჟურნალისტებს ქარხნის საამქროები დაათვალიერებინა და დეტალურად განუმარტა, როგორც ფოლადის დნობის, ასევე არმატურისა და მილების გამოშვების ტექნოლოგიური პროცესი.

**„საწარმოში მილსაგლინავი საამქრო გვაქვს, სადაც „დგან 400“-ზე, რომელიც უნიკალური დგანია, დიდი დიამეტრის უნაკერო მილებს ვუშვებთ. მილების წარმოება მთლიანად საექსპორტოა, რადგან ამ პროდუქციას ნავთობისა და გაზის მწარმოებელ-მომპოვებელი ქვეყნები იყენებენ. იმდენად, რამდენადაც საქართველო გაზისა და ნავთობის მწარმოებელ-მომპოვებელი ქვეყანა არ არის, მილები ექსპორტზე გაგვაქვს. მცირე რაოდენობით ვაწარმოებთ თუჯსა და ფეროშენადნობებს, საკმაოდ მძლავრი მექანიკური საამქროც გვაქვს, სადაც მექანიკურ დეტალებს, როგორც ჩვენი ქარხნისთვის, ასევე — სხვა საწარმოებისთვისაც ვამზადებთ. კირქვის კარიერიც გვაქვს, რომელსაც ამჟამად „ჰაიდელბერგი“ ამუშავებს და რუსთავის ქარხანაში, კირქვიდან მოპოვებული ნედლეულით, ცემენტს აწარმოებს. გვაქვს წიდის გადამამუშავებელი საამქრო, სადაც წიდას მაგნიტურ და არამაგნიტურ ფრაქციებად ვანაწილებთ. წიდას კი ცემენტის მწარმოებელი ყველა კომპანია მოიხმარს. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ყველაზე თანამედროვე ლაბორატორია აქვს საქართველოში, სადაც ხორციელდება ფოლადის ქიმიური ექსპრესანალიზი. ასევე ჩვენს ლაბორატორიაში გვაქვს დანადგარები, რომლებიც არმატურისა და უნაკერო მილების მექანიკურ თვისებებს ამოწმებენ, ჩვენს მიერ გამოშვებული თითოეული არმატურა და მილი ხარისხის კონტროლს გადის“.**

მისივე თქმით, ქარხანაში დანერგილია და მოქმედებს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა. ქარხანა სერტიფიცირებულია ISO 9001 და API (American Petroleum Institute) სტანდარტების გათვალისწინებით. ასევე მინიჭებული აქვს ევროპის ბაზრების სერტიფიცირებაც — CE (Conformite Europeenne), მარკირების გამოყენების უფლებით. გარდა ამისა, ქარხანა სერტიფიცირებულია GOST 632, GOST 633 და GOST 8731 უნაკერო მილებისა და არმატურის წარმოების რუსული სტანდარტებითაც. ირაკლი აბაზაძის განცხადებით, ქარხანას მინიჭებული აქვს DSTU 3760:2006 სერტიფიკატი, რომლითაც არმატურას უკრაინული სტანდარტებით აწარმოებენ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა, **ფარუქ სიდიკმა** ჟურნალისტებს განუმარტა, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, 2011 წლიდან დღემდე, ქარხანაში წარმოება საგრძნობლად გაიზარდა:

**„გრძელი პაუზის შემდეგ, 2 000 ტონა მილი გამოვუშვით, 2012 წელს წარმოება გავზარდეთ და 2013 წლის აგვისტოს მონაცემებით, უკვე 25 000 ტონა მილი გამოვუშვით. წლის ბოლომდე 40 000 ტონის გამოშვებას ვგეგმავთ, მომავალი წელს კი 80 000 ტონა მილს გამოვუშვებთ. რაც შეეხება ფოლადს, წლის ბოლომდე 100 000 ტონას გადავაჭარბებთ, ხოლო გაისად — 130 000 ტონამდე ავალთ. წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად გაუმჯობესდა ქარხნის ინფრასტრუქტურა ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების, მექანიკურ-შემკეთებელ საფასონო საამქროში, ლაბორატორიასა და სატრანსპორტო დეპარტამენტში, რაც უმნიშვნელოვანესია საწარმოს ეფექტური მუშაობისათვის.**

**რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, სადაც ახლა 2 100 თანამშრომელია დასაქმებული, ორი წლის წინ, აქ 1 500 ადამიანი მუშაობდა, თანამშრომლების ძირითადი ნაწილი კი ახალგაზრდები არიან. გპირდებით, ახალი მენეჯმენტი სიტყვას შეასრულებს და საქართველოში მძიმე მეტალურგიის წარმოებას აღორძინებს“.**



„ვერსიის“ კითხვაზე, ქარხანაში დასაქმებულთა შორის, ძირითადად, რუსთავის მოსახლეობაა, თუ არა, ფარუქ სიდიკმა გვიპასუხა, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში 4 უკრაინელი და 2 პაკისტანელი თანამშრომელი მუშაობს, დანარჩენი კი ქართველები, ძირითადად, რუსთაველები არიან. ფარუქ სიდიკის თქმით, ქარხნის პერსონალი სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მსხვილი სოციალური პროგრამაა საფეხბურთო კლუბი — რუსთავის „მეტალურგი“, რომელიც ქარხნის ბაზაზე ფუნქციონირებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც ქარხნის სპეციალისტების „კადრების სამჭედლო“ იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში მძიმე მრეწველობა მოიშალა, ტექნიკურ უნივერსიტეტში სამთო-მეტალურგიის ფაკულტეტი მაინცდამაინც მიმზიდველი აღარ ყოფილა. ცხადია, ამან გარკვეული უკუეფექტი გამოიწვია, რადგან დღეს, როდესაც ქვეყანაში მძიმე მრეწველობის აღდგენის პროცესი იწყება, ირკვევა, რომ პროფესიონალი კადრები მართლაც სანთლით საძებარია. ამის მიუხედავად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ტრენინგ-კურსები მოქმედებს ქარხნის სასწავლო ცენტრში, სადაც წამყვანი სპეციალისტები სტუდენტებს პროფესიონალურ უნარ-ჩვევებში ამზადებენ.

***მაია მიშელაძე***

ზურაბ გამრეკელი

# დაბრკოლებები გაზის გლობალური ბაზრის ჩამოყალიბების გზაზე

## სირიის სისხლისმღვრელი კონფლიქტი ბუნებრივი აირის გამო დაიწყო?



**ბოლო წლებში ენერგეტიკის სფეროში მოხდა გლობალური კატაკლიზმები — „ფუკუსიმას“ ატომური სადგურის ავარია იაპონიაში, მექსიკის ყურეში BP-ს პლატფორმის ხანძარი, „არაბული გაზაფხულის“ ამბოხებები, რამაც ევროპის ენერგომომარაგება შეაფერხა. მათი გავლენით გამწვავდა მილსადენების კონტროლის, მათი ახალი მარშრუტების ხელმისაწვდომობის, ეკოლოგიურად სუფთა გაზით დენის სხვა წყაროების ჩანაცვლების პრობლემები. ამ ფონზე, ზემოგებას „დახარბებული“ ზოგი ქვეყანა, თავისი მონოპოლისტი კომპანიებით, იწვევს ენერგეტიკული ბაზრების მონოპოლიზაციას და რეგიონალიზაციას, რაც გლობალური გაზის ბაზრის ფორმირებას უშლის ხელს. გთავაზობთ ამ ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში წარმოქმნილი რამდენიმე პრობლემის მიმოხილვას...**

### ახლო აღმოსავლეთის დაძაბულობა და გაზის გლობალური ბაზარი

ისტორიულად, გაზის საბადოები და გაზსადენების კონცენტრაცია რამდენიმე ქვეყანამ მოახდინა. გლობალურ ბაზრებზე ენერგომატარებლების მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმში ცვლილებები იმითაა გამოწვეული, რომ ბუნებრივი გაზი სულ რაღაც 30 წელია, გახდა საწვავის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა. მისი დიდი ნაწილი (დაახლოებით 88-90%), ნავთობისგან განსხვავებით, მომწოდებლიდან მომხმარებლამდე გრძელვადიანი კონტრაქტებით, პირდაპირ გაზსადენებით მიდის — გვერდს უვლის რა ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმს. გლობალურ და რეგიონულ პროცესებზე გაზით ვაჭრობის გავლენა, საწვავის სხვა სახეობებთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ საინტერესოა გეოეკონომიკური წინააღმდეგობის ანალიზი, გაზის ბაზრის მონოპოლიზაციის, ასევე თავისუფალი ფასწარმოქმნისა და თხევადი ან დაჭირხლული გაზის „სპოტური“ (LNG, CNG — სპეციალური ტანკერებით ანუ მცირე პარტიებით გადატანა) ბაზრის განვითარების თვალსაზრისით. ამ ორი წინააღმდეგობრივი ტენდენციის შემცველი თანამედროვე გაზის ბაზარი თანდათან გამყიდველის (მონოპოლისტის) ბაზრიდან, მყიდველის ბაზრად იქცევა. ამის მიზეზია ის, რომ მიწოდება, რომელიც დღეს საკმარისია, უფრო მოიმატებს. ამას განაპირობებს ენერგობაზრის განვითარების სამი სავარაუდო სცენარი:

* უახლოეს მომავალში აშშ-დან ფიქლების გაზის ევროპაში ექსპორტის დაწყება. დღეს უკვე ხდება აშშ-სთვის განკუთვნილი ინდონეზიის, ნიგერიის, ყატარის, ტრინიდადის და ტობაგოს თხევადი და დაჭირხლული გაზის ტანკერების ევროპისკენ გადამისამართება;

* ჩინეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში ფიქლების გაზის მოპოვება სერიოზულ ბიზნესად გადაიქცევა, რაც რუსული გაზის ბაზრის პოზიციებს შეარყევს;

* ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის პოლიტიკური ვითარება ისე განვითარდება, რომ მეტად ხელმისაწვდომი გახდება ირანის, ყატარის, ქურთისტანისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ტერიტორიების ჩვეულებრივი ბუნებრივი აირი. უკვე დაიწყო ირანიდან პაკისტანისა და ინდოეთისკენ IPI-ის გაზსადენის პირველი რიგის მშენებლობა. „საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს“ (IEA) პროგნოზით, ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები, მალე აზიის ბაზრებზე ჩაანაცვლებენ ყატარს, რაც მას ევროპის ბაზრისკენ „უბიძგებს“ (2011 წლის მონაცემით, ის აზიაში 50 მლრდ კუბ/მ აირის მიმწოდებელია). ცენტრალური აზიის ქვეყნები, 2035 წლისთვის ამ ბაზრებზე გაზის უმსხვილესი ექსპორტიორები გახდებიან. ჩინეთმა „ცენტრალური აზიური გაზსადენით“ (CAGP) უკვე 50 მლრდ კუბ/მ თურქმენული გაზი შეისყიდა. 2035 წლისთვის ცენტრალური აზიიდან ექსპორტი მიაღწევს 180 მლრდ კუბ/მ გაზს. მეტიც, უკვე 2015 წელს სამხრეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები მსოფლიოში გაზის უმსხვილესი იმპორტიორები იქნებიან. 2015 წელს აზიის ქვეყნების წლიური მოთხოვნა 790 მლრდ კუბ/მ იქნება, რაც 2035 წლამდე 1350 მლრდ კუბ/მ-მდე გაიზრდება. აზია გაზის მოხმარებაში უკან ჩამოიტოვებს ჩრდილოეთ ამერიკის – ე.წ. OECD Americas-ს ქვეყნებს (კანადა, მექსიკა, ჩილე).

პირველმა სცენარმა, შესაძლოა, კასპიისპირეთში დღეს მოქმედი BP-ის, „ექსონმობილის“, „შევრონის“, „ტოტალისა“ და სხვა დასავლური კომპანიების მხრივ, რეგიონის ნახშირწყალბადებისადმი და, შესაბამისად, „დერეფნისადმი“ ინტერესი გაანელოს. მათი ინტერესების სფერო, სავარაუდოდ, აზიის ბაზრებისკენ გადაინაცვლებს.

მეორე სცენარიც რეალისტურია. ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემა – ადგილობრივი ფიქლების გაზის უსაფრთხოების საკითხი გადაწყვეტილია. უკვე გამოიცა ევროკავშირის „მწვანე დოკუმენტი“, რომელიც ევროპის 2030 წლამდე კლიმატისა და ენერგეტიკის პროგნოზს მოიცავს. ენერგეტიკის ევროკომისარმა გ. ეტინგერმა მიუთითა, რომ ფიქლების გაზი არის აბსოლუტურად უსაფრთხო და ევროპის ბაზარზე მისი გამოჩენა გაზს გააიაფებს. აშშ, შიდა ბაზარზე მას ევროპის ფასთან შედარებით, უკვე ოთხჯერ იაფად ყიდის.

მესამე სცენარი ირანსა და სირიასთან არსებულ დაძაბულობას უკავშირდება, მაგრამ სამივე სცენარი უახლოეს წლებში, სავარაუდოდ, მაინც განხორციელდება, რაც გაზის მიწოდებას გაზრდის. თავის მხრივ, ეს ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებთან ერთად, მონოპოლიზაციის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამ მხრივ, ყველაზე აქტუალურია მსოფლიოს უდიდესი გაზის საბადოს – ირანის „სამხრეთის ფარსის“ ანუ ყატარის „ჩრდილოეთის თაღის“ (საბადო ორი ქვეყნის ოფშორულ საზღვარზეა და ირანში ერთი სახელი, ყატარში კი – მეორე ჰქვია). გაზის, გლობალურ ბაზრებზე თავისუფალი ტრანსპორტირების პრობლემის გადაწყვეტა. რა გვაძლევს ამის მტკიცების საფუძველს?

### სირია, რგოლი გაზის გლობალურ „ჯაჭვში“

ჩვეულებრივი ბუნებრივი გაზი არის ეკოლოგიური, იაფი, ხელმისაწვდომი და ეკონომიკურად ეფექტური ნედლეული, რომელიც ხშირად „ოცდამეერთე საუკუნის საწვავად“ მოიხსენიება. ექსპერტები ხშირად სვამენ კითხვას: არის თუ არა სირიის სისხლისმღვრელი კონფლიქტი გაზის გამო დაწყებული დაპირისპირება? — სავარაუდოდ არის, მიუხედავად იმისა, რომ სირიას საკუთარი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი გაზიც კი არ გააჩნია.

ჯერ ერთი, სირიაში მიმდინარე ისლამისტური ფრაქციათაშორისი კონფლიქტი, განსხვავებით ტუნისის, ლიბიის, ეგვიპტის „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებისგან, არ შეიძლება დემოკრატიისთვის ბრძოლად ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ „არაბული გაზაფხულით“ „გამოღვიძებულმა“ სირიის დაპირისპირებულმა ფრაქციებმა, ერთმანეთთანაც ვერ დაამყარეს მშვიდობიანი ურთიერთთანამშრომლობა საერთო მტრის, ბაშარ ალ-ასადის სალაფიტურ-შიიტური რეჟიმის დასამხობად. მათ სირიელ ქურთებთანაც კონფლიქტი აქვთ, რაც უკვე ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებაა და „არაბული გაზაფხულის“ დემოკრატიულ იდეალებთან საერთო არაფერი აქვს. მეორეც, სირიის საზღვრებთან ახლოს, საუდის არაბეთის ჩრდილოეთ ნაწილში და ყატარში არსებული გაზის უდიდესი საბადოები, უკვე დღეს (მსოფლიოში უდიდეს „სამხრეთის ფარსის/ჩრდილოეთის თაღის“ გაზის საბადოზე მოპოვების დაწყებამდე) ფლობენ დაახლოებით 10 მლრდ კუბ/მ. გაზის ექსპორტის სიმძლავრეებს. მათი ჩართვა ეგვიპტე-იორდანიის „არაბულ გაზსადენში“, ხმელთაშუა ზღვით ევროპაში ექსპორტის საშუალებას იძლევა, სადაც რუსული „გაზპრომის“ ინტერესებს დაუპირისპირდება. ამით ეს გაზი, გლობალური გაზის ბაზრის შესაქმნელ, „მეხუთე“ აუცილებელ მარშრუტად ანუ წყაროდ მოგვევლინება. ამდენად, სირიის კონფლიქტის მიზეზი, ერთი მხრივ, „არაბული გაზაფხულის“ გამოძახილია, მაგრამ მეორე მხრივ, ესაა გაზის გლობალური, მონოპოლიებისაგან თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებისკენ გზის ძებნა. ეს „გზა“ საქართველოზეც გადის, ვინაიდან სამხრეთ კავკასია ევროკავშირის გაზმომარაგების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი „მეოთხე“ მარშრუტია, რომელიც მოიცავს: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენებს, „სამხრეთკავკასიურ გაზსადენს“ (ბაქო-თბილისი-ერზერუმი), ასევე მომავალი ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (მათ შორის: „ნაბუქო-უესტი“, „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“, „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“ და „თეთრი ნაკადი“), აზერბაიჯანი-თურქეთის „ტანაპის“ გაზსადენის („სამხრეთკავკასიური გაზსადენის“ გაგრძელება) და აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთის „აგრის“ (LNG) პროექტებს.

აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზი 2“-ის გაზის ევროპაში ტრანსპორტირების ტენდერის შედეგები უკვე ცნობილია – „ნაბუქო-უესტთან“ კონკურენციაში გაიმარჯვა „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ — „ტაპ“ პროექტმა. ამ ტენდერის გავლენა საქართველოზე უკვე საგრძნობია. საქართველოსთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ კომპანიებიდან რომელი გაიმარჯვებდა, რადგან „შაჰ-დენიზი 2“-ის გაზის გატარება, ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყანას 2014 წლიდან დამატებით 2 მლრდ დოლარის ინვესტიციას მოუტანს. აქედან 400 მლნ დოლარს ადგილობრივი კომპანიები მიიღებენ. გარდა იმისა, რომ ინვესტიციები დასაქმებასა და საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებაზე იქონიებენ დადებით გავლენას, მათი განხორციელებით შექმნილი გაზსადენი გაზმომარაგებასაც გააუმჯობესებს. „შაჰ-დენიზი 2“-ის გატარებით თბილისი, პროექტის პირველივე ეტაპზე (2018 წელს დაგეგმილია 16 მლრდ კუბ/მეტრი გაზის ტრანზიტი), მიიღებს საჭირო გაზზე წვდომას. ამერიკული ფიქლების გაზის ევროპაში იმპორტის დაწყებამ და სირიის სამოქალაქო ომმა კი, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს ამ პროექტების განხორციელებაზე და საქართველოზე, თუმცა შეიძლება ხელიც შეუწყონ გაზის თავისუფალი გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებას.

### „გაზ-ოპეკის“ პერსპექტივა, როგორც ახალი გამოწვევა

მიმდინარე წლის თებერვალში, ყატარის დედაქალაქ დოჰაში, სირიელ ოპოზიციონერებსა და აშშ-ს, საუდის არაბეთს, თურქეთსა და ყატარს შორის ხელი მოეწერა საიდუმლო შეთანხმებას. ხელშეკრულებით, ალ-ასადზე ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, ყატარს უფლება მიეცემა, სირიის ტერიტორია გამოიყენოს ტრანზიტული გაზსადენის გასაყვანად ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე ანუ „ჩრდილოეთის თაღის“ საბადოდან ევროპის გაზმომარაგებისთვის. ექსპერტების აზრით, ეს ნიშნავს, რუსული „ნაკადების“ ახალი კონკურენტული მარშრუტის გაჩენას. პარალელურად, აშშ-ში „ფიქლების რევოლუციის“ გავლენით, ადრე ამ ქვეყნისთვის განკუთვნილი იაფი თხევადი გაზის ევროპაში იმპორტის ზრდის გამო, რუსეთს უჭირს ევროკავშირის გაზის ბაზარზე პოზიციების შენარჩუნება. დღეს უკვე თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანას გააჩნია თხევადი გაზის ტერმინალები. ამასთან, ირანი, ნახშირწყალბადების ექსპორტზე დასავლეთის სანქციების და მზარდი ადგილობრივი მოპოვების პირობებში, უფრო მეტად ინტერესდება თხევადი გაზის ახალი საექსპორტო მარშრუტებით. ამ მიზნით მოსკოვი და თეირანი, 2013 წლის ნოემბერში, თეირანის სამიტზე აპირებენ დაამტკიცონ „გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ფორუმის“ ახალი წესდება. წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცემათ უკვე არა მილსადენებით, არამედ მონოპოლიური ფასწარმოქმნით გააკონტროლონ გაზის გლობალურ ბაზარზე ბუნებრივი აირის მოპოვების და თხევადი ან დაჭირხლული აირის წარმოების კვოტები და ფასები. ასე მოხდება „ფორუმის“ (GECF) ტრანსფორმაცია „გაზის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციად“ (OGEC), ანუ „გაზ-ოპეკად“. ჯერ კიდევ 2006 წლის ნოემბერში, ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების მრჩევლები სამხედრო კავშირს აფრთხილებდნენ, რომ რუსეთის ნებისმიერ მცდელობაზე, შექმნას „ბუნებრივი აირის OPEC“ – საწინააღმდეგო ზომები მიეღოთ, რათა რუსეთმა ევროპაზე გავლენის გაძლიერება ვერ შეძლოს. „ნატოს“ ეკონომისტთა საბჭოს განცხადების თანახმად, რუსეთი ენერგოპოლიტიკას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის ბოროტად იყენებს, განსაკუთრებით, საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში. სხვათა შორის, ნიგერია, ყატარი და „ფორუმის“ წევრი კიდევ რამდენიმე ქვეყანა, ამგვარი კარტელის შექმნის იდეას მაშინვე თავშეკავებით შეხვდნენ.

ამრიგად, თუ ბოლო 2-3 წელში აშშ-ს „ფიქლების რევოლუციის“ გამო, დაისახა თხევადი/დაჭირხლული გაზის (LNG/CNG) „სპოტურ“ ბაზარზე გადასვლის ტენდენცია, ახალი კარტელის (OGEC) წარმოქმნა გლობალურ გაზის ბაზარს ისევ იმ მონოპოლიურ „ჭაობში“ დააბრუნებს, რომელიც „სპოტური“ ბაზრისა და ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარებას დიდ პრობლემებს შეუქმნის, ამიტომ სირიის გავლით ევროპის „მეხუთე“ გაზმომარაგების მარშრუტის გახსნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

## ვერსიანიუსი

### სირიის პრეზიდენტი მზადაა, ქიმიური იარაღი გაანადგუროს



**„ქიმიური იარაღის განადგურება სირიაში ბაშარ ასადის გადაყენების პირველი ნაბიჯია“,** – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. მისი განმარტებით, ბაშარ ასადის გადაყენება სირიაში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის სასარგებლო იქნება და ისინი ამ შემთხვევაში უსაფრთხო პირობებში იქნებიან.

გაერო-ს დასკვნის მიხედვით, დამასკოში 21 აგვისტოს „ზარინი“ გამოიყენეს. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რომელმა მხარემ გამოიყენა ქიმიური იარაღი — ოპოზიციამ თუ ხელისუფლებამ.რამდენიმე დღის წინ აშშ-ს, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის დიპლომატებმა ერთობლივი რეზოლუციის მიღებისთვის მუშაობა დაიწყეს, რომლის მიხედვითაც სირიაში ქიმიური იარაღი უნდა განადგურდეს. შეხვედრის შემდეგ კომენტარი ჟურნალისტებთან მხოლოდ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ჯონ კერიმ გააკეთა. მისი თქმით, აშშ სირიის საკითხზე მკაცრი რეზოლუციის მიღებას უჭერს მხარს, რომელიც ძალის გამოყენების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

მოგვიანებით, „ბიბისიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი მზადაა, ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღი გაანადგუროს. ასადმა აღნიშნა, რომ სახელისუფლებო ძალები არ არის პასუხისმგებელი 21 აგვისტოს დამასკოში განხორციელებულ ქიმიურ შეტევაზე: **„ქიმიური იარაღის განადგურება, ტექნიკური თვალსაზრისით, ძალიან რთული და ძვირადღირებული ოპერაციაა. დაახლოებით, მილიარდი დასჭირდება. ექსპერტებს უნდა ვკითხოთ, რას გულისხმობენ იარაღის სწრაფად განადგურებაში. ეს ოპერაცია გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს და მას, დაახლოებით, ერთი წელი ან ცოტა მეტი დასჭირდება“.**

***„ექსპრესნიუსი“***




# ვლადიმერ პუტინის ოცნება ევრაზიული კავშირის შექმნაზე სულს ღაფავს

ანტონ ბარბაშინი
ჰანა თობერნი

THE NATIONAL INTEREST

ბოლო დროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კვლავ დაიწყეს წერა იმის თაობაზე, თუ როგორ აშინებს მოსკოვი უკრაინას, რადგან ამ უკანასკნელს გადაწყვეტილი აქვს ნოემბერში ხელი მოაწეროს ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან. რუსეთი, სასოწარკვეთილი ცდილობს უკრაინის შენარჩუნებას, რომელიც ევრაზიის კავშირის ყველაზე ძვირფას შენაძენად შეიძლება გადაიქცეს და ბოლო თვეებში აქტიურად ამოწმებს უკრაინიდან შესულ ყველა საქონელს. მან აკრძალა უკრაინული შოკოლადის იმპორტი, კიევი გააფრთხილა, რომ დაკარგავს „სტრატეგიული პარტნიორის“ სტატუსს და სერიოზული „თავდაცვითი ზომების“ წინაშე აღმოჩნდება, თუკი ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელს მოაწერს. რუსეთს ესმის, რომ თუ უკრაინა ხელს მოაწერს ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან, მოსკოვს აღარ დარჩება ამ ქვეყნის საბაჟო კავშირის შემადგენლობაში ჩართვის რესურსი, ხოლო კიევისთვის ამით ევრაზიულ კავშირში ინტეგრაცია შეუძლებელი გახდება.

ევრაზიის კავშირი, რომლის შექმნასაც პუტინი აქტიურად ცდილობს, უნდა იქცეს ორგანიზაციად, რომელიც თავისი ქოლგის ქვეშ გააერთიანებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. ის უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და კულტურულ კავშირებს. რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური ცენტრის ღერძად გარდაქმნის იდეა, ღერძისა, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდის ფუნქციას შეასრულებს, დიდი ხანია, ბევრი რუსისთვის მიმზიდველია — რუსი მმართველები ამ პროექტის განხორციელებას საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ. დიდი რუსეთის იდეა ისტორიაში ორჯერ განხორციელდა: პირველად რუსეთის იმპერიისა (1721-1917 წწ.) და მეორედ, საბჭოთა კავშირის (1922-1991 წწ.) სახით. პუტინი იმედოვნებს, რომ რუსეთი ძველ პოზიციებს დაიბრუნებს, ის ოცნებობს გეოპოლიტიკურ გიგანტზე, რომელიც 21-ე საუკუნეში ერთგვარ ბალანსს შექმნის აშშ-ს, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის. ის გეგმავდა „მსურველი“ ქვეყნების გაერთიანებას უკვე მოქმედ საბაჟო კავშირში, რომლის წევრები არიან რუსეთი, ბელორუსი და ყაზახეთი, ხოლო შემდეგ, ევროპული ინტეგრაციის მსგავსად, მის გარდაქმნას პოლიტიკურ გაერთიანებად, მაგრამ ეს მოსკოვური პროექტი დასაწყისშივე უმწიფარი და არასრულფასოვანია.

ჯერ ერთი, ევრაზიის კავშირს არ აქვს ის მძლავრი იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად ედო საბჭოთა პროექტს. ბოლშევიზმის იდეები და დიად კომუნისტურ მომავალთან დაკავშირებული იმედები, ენერგიით მუხტავდა ელიტასაც და რიგით ადამიანებსაც ყოფილი რუსეთის იმპერიაში. ეს მათ ეხმარებოდა სირთულეებისა და პრობლემების გადალახვაში ამ ურთულეს გზაზე; ისინი ეგუებოდნენ მათი პოლიტიკური და პირადი თავისუფლების და დამოუკიდებლობის უგულებელყოფას, მაგრამ ევრაზიის კავშირს ასეთი გამაერთიანებელი იდეოლოგია არ აქვს. ევრაზიული კონცეფცია ეფუძნება რუსეთის დაპირისპირებას დასავლეთთან კულტურის, ძალაუფლების მხრივ, ასევე ეგზისტენციალური თვალსაზრისით, მაგრამ მას არ აქვს პასუხი არც ერთ იმ მთავარ პრობლემაზე, რომელიც აწუხებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. ჩანს, ევრაზიული იდეოლოგია პუტინს მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რუსეთის იმპერიული პროექტი განახორციელოს აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში.

მაგრამ, ევრაზიულ კავშირში ჩაიდება ყველა ის ხარვეზი, რაც დღევანდელ რუსეთშია: ადამიანის უფლებების უგულებელყოფა, შერჩევითი მართლმსაჯულება და ტოტალური კორუფცია. რუსეთს არ ახასიათებს დადგენილი წესების დაცვა. ეს, ამ გაერთიანების პოტენციურ წევრებს, რომლებიც საკუთარი სუვერენიტეტის გამო შიშობენ, ეჭვებს აღუძრავს. ამ გეგმის კიდევ ერთი ნაკლია კოლოსალური სხვაობა რუსეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკურ პოტენციალს შორის. ცენტრალური აზიის ხუთი სახელმწიფოდან ყაზახეთი, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე განვითარებულია, უკვე არის საბაჟო კავშირის წევრი. უზბეკეთი და თურქმენეთი რუსეთთან ინტეგრაციის მიმართ დაინტერესებას არ ამჟღავნებენ. შესაბამისად, რჩება ორი ღარიბი, მაგრამ „მსურველი“ ქვეყანა – ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. ევრაზიული კავშირის შექმნით, რუსეთი პასუხისმგებელი იქნება, აღმოფხვრას დისბალანსი ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, რის გამოც მოუწევს მსხვილი ფულადი გადარიცხვების განხორციელება მათ ანგარიშებზე. ამის გამო, ვითარება შეიძლება თავად რუსეთში გაუარესდეს, შენელდეს მისი ეკონომიკური ზრდა და მოსკოვს გაუჩნდეს უზარმაზარი სოციალური ვალდებულებები. დამატებითი ხარჯების მიმართ ნეგატიურად განეწყობა მოსახლეობის ყველაზე კონსერვატიული ნაწილის უმრავლესობაც კი, რომლებსაც საბჭოთა დროზე ნოსტალგია აქვთ.

კიდევ ერთი დაბრკოლებაა ნაციონალიზმი, რომელიც რუსეთში ძალას იკრებს. ძველი საბჭოთა იდეა „ხალხთა შორის მეგობრობის“ შესახებ, დიდი ხნის წინ გაქრა. ბოლო ათწლეულში, ნაციონალური განწყობა რუსეთში და ნეგატიური დამოკიდებულება ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მიგრანტების მიმართ, გაიზარდა, რასაც დიდ ქალაქებში ვითარების დაძაბვა, ემიგრანტებზე თავდასხმები მოსდევს. ეს მათ მიმართ შეუწყნარებელ ატმოსფეროს აყალიბებს და ართულებს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ინტეგრაციას.




ევრაზიული პროექტი გულისხმობს სასაზღვრო კონტროლის გამარტივებას და უარს მუშა მიგრანტებისათვის დაწესებულ კვოტებზე, რომელიც განსაზღვრულია რუსეთსა და ცენტრალური აზიის, მინიმუმ, სამ ქვეყანას შორის არსებულ შეთანხმებებში. ეს ქვეყნებია: ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. რაც შეეხება ყაზახეთს, იქ ცხოვრებისა და განათლების დონე რუსეთთან მიახლოებულია, რაც ამცირებს ამ ორ ხალხს შორის ეთნიკური პრობლემების წარმოქმნის შესაძლებლობებს. მიგრაციაზე, ყაზახების მხოლოდ 13% ფიქრობს, ხოლო იმ ადამიანების უმრავლესობა, ვინც ეს ქვეყანა დატოვა, რუსია. ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში განსხვავებული ვითარებაა. იქ ერთ სულ მოსახლეზე მშპ ერთგან 1070 და მეორეგან 837 დოლარია (რუსეთში ის 14037 დოლარია). ამ ქვეყნებში ეკონომიკა სტაგნაციაშია, სამუშაო არ იშოვება, შობადობა მაღალია, რის გამოც ყირგიზებს და ტაჯიკებს რუსეთში გამგზავრება ურჩევნიათ. ამ ფონზე, იქ მუდმივად იზრდება სამუშაოს მიღების მსურველთა განცხადებების რიცხვი. თუკი ეს სახელმწიფოები ევრაზიის კავშირში გაწევრიანდებიან, იმიგრანტების რაოდენობა, რომლებიც რუსეთში მუდმივად დარჩენას მოისურვებენ, გაიზრდება, რაც კიდევ უფრო გაზრდის დაძაბულობას, რომელმაც ისედაც სახიფათო ზღვარს მიაღწია. იმიგრაციის ანალოგიური ზრდა მოჰყვებოდა ევრაზიის კავშირში უკრაინის გაწევრიანებასაც, ამიტომ მისთვის ევროკავშირთან ასოცირებისკენ აღებული კურსი არის არა მხოლოდ ახალი შესაძლებლობების გაჩენა უკრაინელი მოქალაქეების საზღვარგარეთ გამგზავრებისა და ევროპაში ბიზნესის დაწყებისათვის, არამედ ბარიერი აღმოსავლეთიდან არასასურველი იმიგრაციის წინააღმდეგ.

ნებისმიერი კავშირის მიზანი წინააღმდეგობებისა და პრობლემების მოგვარებაა და არა მათი შექმნა. ევრაზიული კავშირის ჩამოყალიბების იდეამ კი უფრო მეტი პრობლემა გააჩინა, ვიდრე სარგებელი. ევროკავშირი უამრავ დილემასა თუ პრობლემას ებრძვის თითქმის 50 წლის განმავლობაში, მაგრამ წარმატება აიხსნება ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორით, რაც არ აქვს ევრაზიულ კავშირს: თითოეული წევრის მხრიდან პასუხისმგებლობის გაზიარებისა და უფლებამოსილების დელეგირებისთვის მზადყოფნა და სურვილი.

უკრაინის აშკარა დაკარგვისა და ყირგიზეთთან და ტაჯიკეთთან ინტეგრაციასთან დაკავშირებული სოციალური საფრთხეების გათვალისწინებით, რუსეთი საბაჟო კავშირში მხოლოდ დღეს მოქმედ წევრებთან – ბელორუსთან და ყაზახეთთან რჩება. პრეზიდენტები ლუკაშენკო და ნაზარბაევი, რომლებიც საკუთარ ქვეყნებს 19 და 23 წელია მართავენ, არ აპირებენ დიდი შრომის ფასად კონცენტრირებული საკუთარი ძალაუფლების მიტანას უცნობი ლევიათანის სამსხვერპლოზე. საღი აზრი მოითხოვს, რუსეთმა უარი თქვას ევრაზიის კავშირის შექმნაზე, შეეგუოს ახალ რეალობას და გააცნობიეროს, რომ ცენტრალურ აზიაზე დამოკიდებულება ძალიან სახიფათოა რუსეთის შიდა სტაბილურობისათვის. ევრაზიული კავშირი პუტინის განუხორციელებელი ოცნებაა. რაც უფრო მალე აღიარებს რუსეთის ლიდერი თავის მარცხს, მით უფრო კარგი იქნება ეს რეგიონის და თავად რუსეთის სტაბილური განვითარებისთვის.




## საქართველო კორუფციული რისკების მქონე ჯგუფში ტანზანიასა და უგანდასთან ერთად მოხვდა

Transparency International-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომელიც თავდაცვის სფეროში კორუფციულ რისკებს ეხება, საქართველო მაღალი კორუფციული რისკების მქონე ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რუსეთთან, ტანზანიასა და უგანდასთან ერთად. ამ ჯგუფში კი სულ 14 ქვეყანა მოხვდა — ყაზახეთი, ტანზანია, თურქეთი, უგანდა, ალჟირი, ეგვიპტე, ირანი, ლიბია, სირია, რუსეთი, საქართველო...

კვლევის მიხედვით, მხოლოდ 4 ქვეყანაში – ავსტრალიაში, გერმანიაში, ნორვეგიასა და დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ორგანოები ეფექტურად აკონტროლებენ თავდაცვის სფეროს და, შესაბამისად, კორუფციული რისკები ამ ქვეყნებში ყველაზე დაბალი აღმოჩნდა.

ამასთან, Transparency International-ს კორუფციული რისკების შემცირების რამდენიმე კრიტერიუმი მოყავს; მაგალითად, ერთ-ერთის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოებში უნდა აკვირდებოდნენ და იხილავდნენ თავდაცვის კომპლექსის ბიუჯეტს, მსჯელობდნენ მის გამჭვირვალობაზე, უნდა ტარდებოდეს გარეაუდიტი, სამხედრო დანაყოფების მიერ შესყიდვები სპეცსამსახურების მიერ უნდა კონტროლდებოდეს... კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ქვეყნებში, სადაც საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაა, კორუფციული რისკები თავდაცვის სფეროში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სისტემის მმართველობებში.

თავდაცვის სფეროში კორუფციული გარიგებების ფინანსური მაჩვენებელი, წელიწადში, 20 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს (მონაცემები ორგანიზაციას მსოფლიო ბანკისა და სტოკჰოლმის კვლევითი ინსტიტუტის მიხედვითაა მოყვანილი). კვლევაში მონაწილე თითო ქვეყანაში ორგანიზაციამ 2 ექსპერტი გაგზავნა. ექსპერტები შესაბამისი უწყებებიდან საჯარო ინფორმაციას მოიპოვებდნენ და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ადარებდნენ.

***„ექსპრესნიუსი“***




## ჩეჩნეთში რუსეთთან ომში დაღუპულ მეომარ ქალებს ძეგლი დაუდგეს

რუსული მედიის ცნობით, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, რამზან კადიროვმა XIX საუკუნეში რუსეთთან ომში დაღუპული მეომარი ქალების ძეგლი გახსნა. საზეიმო ღონისძიება სოფელ ხანგიშ-იურტში გაიმართა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წევრებიც იმყოფებოდნენ. ღონისძიებაზე კადიროვმა 16 სექტემბერი ჩეჩენი ქალის დღედ გამოაცხადა: **„ჩვენი პირველი პრეზიდენტი, რუსეთის გმირი აჰმათ-ჰაჯი კადიროვი მიზნად ისახავდა არამარტო ომის შეჩერებას, არამედ საომარი მდგომარეობის გაუქმებას. ჩვენი მიზანია, ეს განვახორციელოთ, რათა ჩეჩნეთის ისტორიაში ასეთი სევდიანი ფურცლები მომავალში არ დაიწეროს“.**

ჩეჩენი ისტორიკოსების ცნობით, 1819 წელს, რუსულმა ჯარმა ტყვედ ათასობით ჩეჩენი აიყვანა, მათ შორის 46 ქალი. მდინარე ტერეკის გადავლისას ხანგიშ-იურტის რაიონში, გოგოები კონვოირებთან ერთად მდინარეში ხტებოდნენ და ამით დანარჩენი ტყვეების გასათავისუფლებლად თავი გაწირეს.

ამასთან, ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ გოგოები შურს სოფელ დადი-იურტის განადგურების გამო იძიებდნენ, რომელიც რუსეთის არმიის გენერალმა, ალექსეი ერმოლოვმა გადაწვა.

***„ექსპრესნიუსი“***

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7 | 1 | 6 | | |
| 9 | | | | 8 | | | | 4 |
| 4 | 3 | | | | 6 | | | |
| | 6 | | | | | 7 | 4 | |
| 1 | | | | | | | | 2 |
| | 2 | 9 | | | | | 8 | |
| | | | 6 | | | | 3 | 8 |
| 2 | | | | 3 | | | | 7 |
| | | 3 | 5 | 2 | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 3 | 4 | 9 | | |
| | | 7 | 1 | | | | | |
| 8 | | | | | | 6 | | |
| | | | 4 | | 7 | | 6 | 3 |
| | | | | 2 | | | | |
| 2 | 5 | | 8 | | 1 | | | |
| | | 1 | | | | | | 5 |
| | | | | | 8 | 4 | | |
| | | 6 | 5 | 4 | | | 7 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | | 6 | | | | 3 |
| | | 8 | 3 | | | | | |
| | | | | | 4 | 2 | | 8 |
| 3 | | 7 | | | 9 | | | |
| | | 5 | 1 | | 3 | 8 | | |
| | | | 7 | | | 5 | | 2 |
| 9 | | 4 | 6 | | | | | |
| | | | | | 7 | 3 | | |
| 5 | | | | 9 | | 6 | 2 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 4 | 7 | 6 | |
| 5 | | 6 | | | 7 | | | |
| | | | | 2 | | 5 | | 8 |
| | | | 5 | | | 6 | | |
| | 9 | | 4 | 1 | 8 | | 5 | |
| | | 4 | | | 3 | | | |
| 4 | | 5 | | 8 | | | | |
| | | | 1 | | | 9 | | 4 |
| | 3 | 1 | 2 | | | | | |

# ყველაზე „ყოდვილი" ქვეყნები

მსოფლიოს რომელ ქვეყანაში სვამენ ყველაზე მეტ სასმელს? სად ცხოვრობენ ყველაზე ზარმაცები? სადაა ყველაზე მეტი მსუქანი ადამიანი? ვინ ეწევა მარიხუანას და ვის უფრო უყვარს მაღაზიებში სიარული? ამ კითხვების საპასუხოდ, Foreign Policy-მა ერთგვარი რეიტინგი შეადგინა. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მცხოვრებლებს შორის ყველაზე ნაკლებს ჰოლანდიელები მუშაობენ — საშუალოდ, 1 381 საათს წელიწადში, ყველაზე მეტს კი — მექსიკელები (2 336 საათი). ყველაზე მეტ დროს ძილსა და ჭამაზე ფრანგები ხარჯავენ — მათ დაახლოებით, ერთი საათით მეტი მაინც სძინავთ, ვიდრე სამხრეთ კორეელებს. ფრანგები ლიდერობენ ასევე ძლიერი ალკოჰოლური სასმელის მიღების რაოდენობითაც (ერთ სულ მოსახლეზე 24 ლიტრი ყოველწლიურად), ყველაზე მეტ ლუდს კი კუკის კუნძულებზე სვამენ (182 ლიტრი ერთ სულ მოსახლეზე). საფრანგეთში ღვინის ყველაზე მეტი მოყვარული აღმოჩნდა (55 ლიტრი ერთ სულზე წელიწადში).

აზარტულ თამაშებში ყველაზე მეტ ფულს ყოველწლიურად ავსტრალიელები და სინგაპურელები ხარჯავენ (1288 და 1174 დოლარი ერთ სულზე). იტალიელები, ახალზელანდიელები, ამერიკელები და ნიგერიელები ყველაზე ხშირად ეწევიან მარიხუანას — უფროსების დაახლოებით 14%. სალვადორი ლიდერობს ამფეტამინური ტიპის სტიმულატორების მოხმარებით, შოტლანდიაში კოკაინის მოხმარების რეკორდი დაფიქსირდა — 2,4%.

პლანეტაზე ყველაზე მსუქნები ამერიკული სამოას მცხოვრებლები არიან — მისი მოსახლეობის მეოთხედს აწუხებს ჭარბი წონა, თუმცა ყველაზე მეტ კალორიას ავსტრიელები იღებენ.

იაპონელებს, როგორც ჩანს, უფრო მეტად გართობა უყვართ, ამისთვის ფულსაც არ იშურებენ (339 მილიარდს წელიწადში) და ამ მხრივ მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩამორჩებიან. ჩინელებს კი, პირიქით, ფულის დაზოგვა უყვართ — აქ ყველაზე მეტ ეკონომიას აკეთებენ და შემოსავლის თითქმის ნახევარს ინახავენ. სექსის მოყვარულები ამერიკელები არიან — ყოველწლიურად 430 მილიონი დოლარის პრეზერვატივს ყიდულობენ, თუმცა ფუფუნებასა და თავის მოვლაზეც ყველაზე მეტ ფულს სწორედ ისინი ხარჯავენ.







## მდიდრები საცხოვრებლად ლონდონს ირჩევენ

ნისლიანი ალბიონის დედაქალაქი პირველ ადგილზეა იმ მეგაპოლისებს შორის, რომელთაც მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები ირჩევენ საცხოვრებლად. რეიტინგში მეორე საფეხურზე და ნიუიორკია, მესამეზე კი აზიური ჰონგკონგი. მდიდრებისთვის საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქების ტოპ ათეულში შევიდა ასევე საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი, სინგაპური, მაიამი, ჟენევა, შანხაი, პეკინი და ბერლინი. აქ ცხოვრება იმ ადამიანებს ურჩევნიათ, რომელთა ქონებაც 25 მილიონ დოლარზე მეტია. რეიტინგის შედგენისას, რომელიც უმდიდრესი ადამიანების ცხოვრების წესის შესწავლით შედგა, ასევე გაითვალისწინეს შემდეგი მახასიათებლები: ცხოვრების დონე, საქმიანი აქტივობის დონე, პოლიტიკური გავლენა, კულტურული ცხოვრების ინტენსიურობა, სოციალური სტაბილურობა, მოქნილი განათლების სისტემა და საცხოვრებელი ფართების კომფორტულობა.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 3 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 4 |
| 9 | 7 | 8 | 1 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 5 | 2 | 4 | 8 | 7 | 3 | 1 | 6 | 9 |
| 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 1 | 7 | 6 | 5 | 8 |
| 8 | 5 | 1 | 6 | 3 | 2 | 9 | 4 | 7 |
| 3 | 8 | 9 | 7 | 2 | 6 | 4 | 1 | 5 |
| 1 | 6 | 7 | 4 | 9 | 5 | 2 | 8 | 3 |
| 2 | 4 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 | 9 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 1 | 9 | 2 | 3 | 8 | 7 | 5 |
| 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 9 | 6 |
| 4 | 6 | 3 | 5 | 9 | 7 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 7 | 1 | 9 | 8 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 | 1 | 5 | 2 |
| 1 | 5 | 7 | 2 | 8 | 9 | 6 | 3 | 4 |
| 3 | 2 | 6 | 1 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 6 | 9 |
| 3 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 7 | 5 | 4 |
| 9 | 6 | 5 | 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 2 |
| 4 | 8 | 3 | 1 | 6 | 7 | 2 | 9 | 5 |
| 2 | 9 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 6 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 9 | 3 | 4 | 8 | 7 |
| 5 | 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 9 | 2 | 3 |
| 1 | 3 | 6 | 9 | 2 | 4 | 5 | 7 | 8 |
| 7 | 2 | 9 | 8 | 3 | 5 | 6 | 4 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 3 | 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 9 | 6 | 4 | 3 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 |
| 2 | 8 | 1 | 5 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 8 | 2 | 7 | 1 | 5 | 3 | 9 | 4 | 6 |
| 4 | 5 | 6 | 9 | 2 | 8 | 3 | 7 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 7 | 4 | 6 | 8 | 5 | 2 |
| 7 | 9 | 2 | 6 | 3 | 5 | 1 | 8 | 4 |
| 1 | 4 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 3 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 4 | 8 | 1 | 2 | 9 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 5 | 9 |
| 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 |
| 6 | 4 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 | 7 | 8 |
| 8 | 1 | 9 | 7 | 3 | 6 | 2 | 4 | 5 |
| 5 | 7 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 6 | 3 |
| 7 | 9 | 4 | 3 | 2 | 5 | 8 | 1 | 6 |
| 2 | 5 | 8 | 6 | 9 | 1 | 7 | 3 | 4 |
| 1 | 3 | 6 | 4 | 7 | 8 | 5 | 9 | 2 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 2 | 5 | 9 | 4 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 1 | 7 | 6 | 3 | 2 | 9 | 5 | 4 |
| 5 | 9 | 4 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 |
| 1 | 5 | 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 7 | 1 | 6 |
| 2 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 | 8 | 9 | 5 |
| 6 | 8 | 3 | 9 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 9 | 4 | 1 | 3 | 2 | 6 | 5 | 7 | 8 |
| 7 | 2 | 5 | 8 | 4 | 1 | 3 | 6 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 2 | 3 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 9 | 7 | 8 | 2 | 4 | 6 | 3 | 1 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 7 | 1 | 8 | 9 | 2 | 4 |
| 2 | 8 | 6 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 8 | 6 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 1 | 9 | 7 | 5 | 3 | 4 | 6 | 8 | 2 |
| 8 | 5 | 4 | 9 | 2 | 3 | 7 | 6 | 1 |
| 7 | 6 | 1 | 4 | 8 | 5 | 2 | 3 | 9 |
| 3 | 2 | 9 | 6 | 7 | 1 | 4 | 5 | 8 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 4 | 5 | 1 | 8 | 9 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 5 | 7 | 9 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 9 | 8 | 2 | 4 | 3 | 6 | 7 | 5 |
| 2 | 5 | 3 | 6 | 8 | 4 | 7 | 1 | 9 |
| 9 | 8 | 6 | 1 | 3 | 7 | 5 | 2 | 4 |
| 7 | 4 | 1 | 9 | 5 | 2 | 3 | 6 | 8 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 2 | 1 | 4 | 9 | 3 |
| 8 | 3 | 2 | 4 | 7 | 9 | 1 | 5 | 6 |
| 4 | 1 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 8 | 7 |

მე-13 გვერდი: 1. ჩუტყვავილა; 2. სადილი; 3. ჩორჩანელი; 4. ტორპედო; 5. ვაკე; 6. სოლფეჯიო; 7. დებიუტანტი; 8. ლენტო; 9. კამეა; 10. მოდილიანი; 11. კურარე; 12. ლებანი; 13. ტარანტასი; 14. ტოვსტონოგოვი; 15. გედი; 16. ჯეტა; 17. აიბოლიტი; 18. დონ; 19. ტოტუ; 20. იისფერი; 21. ილი; 22. ელოდეა; 23. ვირა; 24. ავიზო; 25. ოინა; 26. ბილიკი; 27. კიანუ; 28. ეტა; 29. ვარიანი; 30. ზიზილა; 31. ტენტი; 32. ტისა; 33. ალარმისტი; 34. ნიმფა; 35. ფრეზერი; 36. ლუარა; 37. ნანტი; 38. აული; 39. ეისი; 40. ნბა; 41. ტიტა; 42. ირა; 43. ფარავანი; 44. ტყიბული; 45. მუყაო; 46. ბაგრატი; 47. ნომა; 48. ნალა; 49. გუი; 50. აკორდი; 51. დიაფრაგმა; 52. ულისე; 53. ფიალა; 54. ხინკალი; 55. რუკა; 56. დემეტრა; 57. მუნდიალი; 58. ოხრა; 59. ვენა; 60. ოყა; 61. მაკ; 62. სუკრე; 63. რიტმი; 64. ილეთი; 65. ტარა; 66. ჟინვალი; 67. ტრიოდი; 68. კაკაო; 69. იდო; 70. ბოტი; 71. ალი; 72. იარ; 73. ნუ; 74. რამა; 75. არტერია; 76. მი; 77. როი; 78. ამაო; 79. მანეთი; 80. ამია; 81. ულაყი; 82. ბე; 83. მამბო; 84. ადლი; 85. ლიდია; 86. უდე.

მე-16 გვერდი: 1. რეინკარნაცია; 2. ახო; 3. ბრმა; 4. აკინი; 5. ცეილონი; 6. ბრონტოზავრი; 7. რკო; 8. ნალა; 9. ცუნამი; 10. ხურტკმელი; 11. დაისი; 12. აჯაფსანდალი; 13. კალანდა; 14. არაკი; 15. ოში; 16. იოგა; 17. „იზა"; 18. ობამა; 19. კლიო; 20. ფაეტონი; 21. შლეიფი; 22. ანი; 23. ლოჯია; 24. მზია; 25. რუი; 26. სოფიტი; 27. ოლივიე; 28. მორუა; 29. სვია; 30. ქოსა; 31. ტელემაქე; 32. ლებარდე; 33. ქოლერა; 34. ოტო; 35. კიჩო; 36. ბოა; 37. ვო; 38. ლოლა; 39. დუმფარა; 40. გრემ; 41. კორეა; 42. „ჩელსი"; 43. ნიობე; 44. ტორტილა; 45. ზებრა; 46. ტრენინგი; 47. ინგა; 48. ოდონელი; 49. კიი; 50. ტაიმ; 51. „რივერდანსი"; 52. ნო; 53. ვერე; 54. ძნა; 55. ფერმა; 56. ენა; 57. დია; 58. იებოა; 59. ჰანოი; 60. კონან; 61. ანკესი; 62. იგი; 63. დოჰიო; 64. ალა.

1. ნივთიერების გაწმენდა მინარევებისაგან
2. იბერიის მეფე III საუკუნის შუა წლებში
3. ენათმეცნიერების დარგი, სწავლობს სიტყვათა წარმომავლობას
4. პატარძლის თავსაბურავი
5. ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ



6. ნახევარკუნძული სამხრეთ აზიაში
7. სხვადასხვა თეორიათა უპრინციპო შეერთება
8. დაბადების მოწმობა
9. ტარიელის და ავთანდილის მეგობარი
10. ქალაქ რომის მითიური დამაარსებელი
11. მდინარის დატოტვილი შესართავი
12. რუსული შოუბიზნესის ვარსკვლავი
13. მიწაში ამოთხრილი ადგილი
14. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება, იგივე რინიტი
15. ეკლესიისგან განდგომილი რელიგიური ჯგუფი
16. (ძვ.) ძვირფასი სავარძელი
17. საგანგებო დავალება
18. მუს. გამის პირ-ველი ბგერა
19. ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი
20. „ოტელოს“ პერსონაჟი
21. გეოგრაფიული რუკების კრებული
22. ჩინეთის ფულის ერთეული
23. აქილევსის დედა
24. თეატრის კოლექტივი
25. „მამელუკის“ ავტორი
26. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში
27. არგენტინული ცეკვა
28. ფრანგი ფერმწერი
29. არმაზციხის მეორე სახელი
30. სახალხო მგოსან-მომღერალი ირლანდიაში
31. (მოძვ.) მისამართი
32. ბუქარესტის საფეხბურთო კლუბი
33. ფეთქებადი ნივთიერება
34. თხის ნაშიერი
35. სოფელი წალენჯიხის რაიონში
36. NBA-ს ვარსკვლავი
37. კონვეიერი გორგოლაჭებით
38. პატარა რადიოსადგური
39. ფუტკრის სახლი
40. მხედართმთავრის მსახური აღმოსავლეთში
41. ქალაქი ზამბიაში
42. კუნძულ სარდინიის დედაქალაქი
43. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვალუტა
44. რუსების საბრძოლო ყიჟინა
45. ფინანსური ტერმინი
46. ჩვილი ბავშვის საწოლი
47. საფეხბ. კლუბი „... ხუნიორსი“
48. იტალიური სამზარეულოს ტრადიციული კერძი
49. ფასიანი ქაღალდის სახეობა
50. ფრედი მერკურის ჯგუფი
51. გახურებული შანთით დასმული ნიშანი სხეულზე
52. ჰორიზონტალური ფიცარი ფანჯრის ქვეშ
53. ჩაკეტილი მეურნეობის შექმნის ეკონომიკური პოლიტიკა
54. ჰარამხანის მსახური ქალი
55. იტალ. ფილოსოფოსი
56. ზევსის დედა
57. პატარა ნაჭრებისაგან შედგენილი კომპოზიცია
58. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
59. ადამის ნეკნისგან შექმნილი ქალი
60. ჯონ ლენონის ქვრივი იოკო ...
61. დაბალი ფასის მქონე
62. რუმინეთის ფულის ერთეული
63. კამეჩის ნაშიერი
64. ტირიფის სახეობა
65. კაენის ძმა
66. შხამიანი გომბეშო
67. ნახევრად დამშრალი ზღვა
68. მსახიობი მეგ ...
69. არისტოკრატ. გემოვ. ბრმად მიმბაძველი
70. „კაცია-ადამიანი!?“ ავტორის სახელი
71. ხვიარა ბალახოვანი მცენარე
72. ავსტრალიაში: ისეთი მდინარე, რომელიც პერიოდულად შრება
73. პარიზის ცნობილი კოშკი
74. იაპონური თეატრის სახეობა
75. ქართველ ქალთა თავსაბურავი
76. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
77. ღვინის ობი
78. ფრანგ მეფეთა სახელი
79. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
80. ბედუინთა ტრადიციული მოსასხამი
81. მათემატიკური მუდმივა
82. უნგრელი მწერალი

# მამაკაცის ხასიათს ნაოჭებითაც ამოიცნობთ



სახეზე ნაოჭები მხოლოდ ასაკში მყოფ ადამიანს არ უჩნდება, ის ახალგაზრდებსაც აქვთ. ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ისინი მისი პატრონის პიროვნებაზე მეტყველებს:

ჰორიზონტალური ნაოჭები — თუ მამაკაცს შუბლზე 1-3 სწორი და უწყვეტი ნაოჭი აქვს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი ძლიერი, ენერგიული, გაწონასწორებული და ჰარმონიული პიროვნებაა. მას მდგომარეობიდან ძნელად თუ გამოიყვან და მასთან ჩხუბიც თითქმის შეუძლებელია. სამზე მეტი ნაოჭი კაცის კიდევ უფრო მტკიცე ხასიათის მანიშნებელია. ის საკმაოდ გულღიაა და არც ექსპერიმენტების ეშინია.

თუ მამაკაცს შუბლზე ტალღისებური ან წყვეტილი ნაოჭები აქვს, შესაძლოა, ის ძალიან ზედაპირული ადამიანი აღმოჩნდეს. მას ცხოვრებაში ყველაზე მეტად საკუთარი თავი აინტერესებს. თუ ამ ტიპის ნაოჭები კაცს შუბლის ზედა ნაწილში აქვს, ეს იმის მანიშნებელია, რომ მისი მდგომარეობიდან გამოყვანა ადვილია. ნაოჭების საერთოდ არქონა კი მამაკაცის გულგრილობაზე მეტყველებს.

ვერტიკალური ნაოჭები — მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ღრმა ვერტიკალური ნაოჭები აქვს, მხოლოდ იმას ამჩნევს, რაც თვითონ უნდა. დანარჩენს კი გვერდს უვლის, თავის აზრს ჯიუტად იცავს. ორი-სამი ასეთი ნაოჭი იმ კაცებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღებისას, ბევრს არ ფიქრობენ.

ცხვირ-ტუჩის მიდამოში არსებული ნაოჭები იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთი მამაკაცი საკმაოდ მგრძნობიარეა. ისინი ძალიან სერიოზულები და ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილები არიან, თუმცა, შესაძლოა, ასეთი ნაოჭების მქონე მამაკაცები ზედმეტად ნერვიულებიც აღმოჩნდნენ.



# ჰოროსკოპი 20 სექტემბერი

***ვერძი*** — ყურადღებით უნდა იყოთ წვრილმანების მიმართ. რამდენად გლობალურიც უნდა გეჩვენებოდეთ ის საკითხები, რითიც ახლა ხართ დაკავებული, აჯობებს, ნებისმიერი გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოთ.

კურო — ახლობელ ადამიანს სასწრაფოდ დასჭირდება თქვენი დახმარება, ამას შესაძლოა, მთელი დღე დასჭირდეს წაიღოს, თუმცა ამის გამო, უარს ნუ ეტყვით, რადგან დახმარება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

***ტყუპები*** — ნუ გამოცდით ბედს და სიახლეების არარსებობა კარგ ამბად მიიჩნიეთ. დაფიქრდით, ცვლილებები ნამდვილად გჭირდებათ თუ არა.

***კირჩხიბი*** — დღე გადატვირთულია სტრესით, ამიტომ სჯობს, არ ჩაერთოთ კამათში და უარი თქვით შორეულ მივლინებაზე, თუ ამის საშუალება იქნება. ერთიცა და მეორეც კარგს არაფერს მოგიტანთ.

***ლომი*** — ლომებისთვის დიდი რაოდენობით ინფორმაციის მიღებისა დღეა. მთავარია, ემოციებს ნაკლებად აყვეთ და ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

***ქალწული*** — ჯერჯერობით, შორს ხართ სწორი გადაწყვეტილების მიღებისგან, მაგრამ შეგიძლიათ თავი იმით დაიმშვიდოთ, რომ სწორ გზაზე დგახართ.

***სასწორი*** — ენერგიას ტყუილუბრალოდ ემოციებზე ნუ დახარჯავთ, ამით მაინც ვერაფერს შეცვლით. სჯობს, ოჯახის საქმეებით დაკავდეთ და მყუდრო გარემო შეუქმნათ გარშემომყოფებს.

***ღრიანკალი*** — შესაძლოა, უსიამოვნებას გადაეყაროთ,მაგრამ, გულს ნუ გაიტეხთ, თქვენი მოხერხებულობის წყალობით, ამ პრობლემას ადვილად გაუმკლავდებით.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებისთვის აქტიურობს მოქმედების პერიოდი არ არის, სამაგიეროდ იდეალურია განსჯისთვის. საღამოს შესაძლოა, სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ.

***თხის რქა*** — თქვენი პრინციპულობა ბევრ ადამიანთან გაგიფუჭებთ ურთიერთობას. კარგი იქნება, თუ მორალური მხარდამჭერისა და რჩევისთვის მოსულებს ზურგს არ შეაქცევთ.

***მერწყული*** — იმ საქმეს დაუბრუნდებით, რომლის მიმართ ინტერესი ადრე დაკარგეთ. ახლა ამ საკითხში წარმატება უდავოდ გელით, მთავარია, მოთმინება გამოიჩინოთ.

***თევზები*** — თქვენი მომხიბვლელობა არ გაჭრის და ვერც იმ უხერხულ სიტუაციას აარიდებთ თავს, რომლის წარმოშობის ალბათობაც ძალიან დიდია, ამიტომ მოგიწევთ, მკაცრი იყოთ საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართაც.

# პატიმრებს იგლესიასის სიმღერებით აწამებდნენ



დიქტატორ აუგუსტო პინოჩეტის მმართველობის დროს, ჩილეში პატიმრებს ცნობილი ესპანელი მომღერლის, ხულიო იგლესიასის სიმღერებით აწამებდნენ, — განაცხადეს გამოკვლევების შემდეგ მანჩესტერის უნივერსიტეტის სწავლულებმა. გარდა ამისა, ციხის თანამშრომლები პოლიტიკურ პატიმრებს აიძულებდნენ, რამდენიმე დღის განმავლობაში ესმინათ ჯორჯ ჰარისონის My Sweet Lord-ისთვის და საუნდტრეკისთვის სტენლი კუბრიკის ფილმიდან „მექანიკური ფორთოხალი“. მუსიკის მეშვეობით პატიმრების წამება რამდენიმე ათას ადამიანს შეეხო.

# რესტორანი კონფლიქტური სამზარეულოთი



აშშ-ში, ქალაქ პიტსბურგში ახალი რესტორანი Conflict Kitchen (კონფლიქტური სამზარეულო) გაიხსნა, რომელიც სტუმრებს იმ ქვეყნების კერძებს სთავაზობს, რომელთანაც ამერიკის შეერთებულ შტატებს დაძაბული ურთიერთობა აქვს. დაწესებულებამ მუშაობა ირანული და ვენესუელური კერძების მენიუთი დაიწყო, ახლა კუბური სამზარეულოც დაემატა, მალე კი კლიენტებს კორეული (ჩრდილოეთი), პალესტინური და ებრაული კერძებითაც გაუმასპინძლდებიან. აღსანიშნავია, რომ რესტორანში მიესალმებიან საუბრებს პოლიტიკაზე, თუკი კლიენტებს, გემრიელად ჭამის დროს, ამის სურვილი ექნებათ. დაწესებულების ხელმძღვანელის თქმით, მათი მთავარი მიზანია, აჩვენონ ხალხს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ნეგატიური ასპექტები. რაც უნდა წარმოუდგენელი იყოს, რესტორნის მფლობელი მენიუს შემცირებასა და საერთოდ, დაწესებულების დახურვაზე ოცნებობს.

# დიაგნოსტიკა თითის პულსაციით



თითის პულსაციით შესაძლებელია დაასგინეს, დაზიანებულია თუ არა ადამიანის გული. დიაგნოსტიკის ეს უჩვეულო მეთოდი აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტის მეცნიერმა ჰარი პირსმა შეიმუშავა. მისი გაცხადებით, ამ მეთოდით შესაძლებელია დადგინდეს, რამდენად მტკიცეა აორტის კედლები. თუკი ის არაელასტიურია, გულს მეტი დატვირთვით უწევს მუშაობა, შემდეგ კი ვითარდება მაღალი წნევა, ინსულტი და გულის შეტევა. ჩვეულებრივ, აორტის კედლების ელასტიურობა განისაზღვრება საძილე არტერიის პულსის მიხედვით, მაგრამ უფრო მარტივია, ეს თითის პულსაციის მიხედვით გავარკვიოთ. აორტაში პულსის ტალღის გავრცელების სისწრაფეს სპეციალური გადამცემი ზომავს. მიღებულ ცნობებს ემატება ინფორმაცია სხეულის მასის ინდექსისა და პაციენტის ასაკის შესახებ, რაც მთლიანობაში, შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, რა მდგომარეობაშია აორტა.

# ბიბლიოთეკა ტელეფონის ჯიხურში



ნიუ იორკში ტელეფონის ჯიხურები უფასო მინი-ბიბლიოთეკებად გადაიქცა. ამ პროექტის იდეა ადგილობრივ არქიტექტორს, ჯოლი ლოკს ეკუთვნის. მოძველებული ჯიხურები, რომელიც დღემდე შემორჩა მეგაპოლისის ქუჩებს, პირდაპირი დანიშნულებით იშვიათად გამოიყენება. ახლა ხომ მობილური ტელეფონი თითქმის ყველას აქვს, ამიტომ ბოლო დროს, ჯიხურებს ყველაზე ხშირად წვიმისგან თავშესაფრის ფუნქცია ერგო. არქიტექტორმა კი, ისინი წიგნის თაროებით აღჭურვა და ახლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია აქედან წიგნის აღება. როგორც ამბობენ, ნიუ იორკელები ამ იდეას საკმაოდ პოზიტიურად აფასებენ.



# ჰოროსკოპი 21 სექტემბერი

***ვერძი*** — ნურაფერს დაიჯერებთ, რაც საკუთარი თვალით არ გინახავთ. სხვისი სიტყვებიდან გამომდინარე, დასკვნების გაკეთება ისევე საშიშია, როგორც წაუკითხავ დოკუმენტებზე ხელის მოწერა.

***კურო*** — თუ გეჩვენებათ, რომ რაღაც არ გამოგივათ, სჯობს, ეს საქმე დღეს არ წამოიწყოთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, რადგან მათ ეს ძალიან სჭირდებათ.

***ტყუპები*** — შესაძლოა, საკმაოდ რთული გადაწყვეტილების მიღება მოგიწიოთ, რასაც თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა მოჰყვება, თუმცა ამის გამო, დასახულ გეგმებზე უარი ნამდვილად არ უნდა თქვათ.

***კირჩხიბი*** — საკმაოდ ადვილად შეძლებთ ფინანსური საკითხების გადაჭრას. ყურადღება მიაქციეთ, რას ლაპარაკობთ, დაუფიქრებლად წამოსროლილმა ფრაზებმა, შესაძლოა, დიდი უსიამოვნება მოგიტანოთ.

***ლომი*** — დღეს პრიორიტეტი საკუთარი საქმეები უნდა იყოს, განსაკუთრებით ის, რაც ნაზ გრძნობებს ეხება. სხვა ყველაფერი მოიცდის და ამის გამო არავინ გაგინაწყენდებათ.

***ქალწული*** — რაც უნდა ეგოისტურად ჩანდეს, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედეთ, ამით დროისა და ენერგიის ეკონომიას გასწევთ.

***სასწორი*** — მეგობრები გაიხსენეთ. ყოველდღიურმა პრობლემებმა მათი არსებობა ლამის დაგავიწყათ, ამიტომ დაუკავშირდით და დრო სასიამოვნოდ გაატარეთ.

***ღრიანკალი*** — სჯობს, ცოტა ლოიალურად მოიქცეთ, საკუთარი თავისა და გარშემომყოფების მიმართ ზედმეტად მომთხოვნი და კრიტიკული ხართ, კარგი იქნება თუ გაითვალისწინებთ, რომ ასეთი დამოკიდებულება არავის მოსწონს.

***მშვილდოსანი*** — შესაძლოა, თქვენი ცხოვრება საჯარო განხილვის საგანი გახდეს, ამიტომ კარგად დაფიქრდით, როგორ აარიდოთ თავი უსიამოვნებას და შექმნილი ვითარებიდან მოგებული როგორ გამოხვიდეთ.

***თხის რქა*** — თავს ნუ გამოიდებთ ფიცი-მტკიცით და თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან, დაფიქრდით, ხვალ შეიძლება საკუთარი სიტყვები უკან წაიღოთ.

***მერწყული*** — ნუ შეეცდებით გონების ძალით მთის გადაგორებას — ეს არ გამოგივათ. ნუ დასჯით იმ ადამიანებს, ვისი დასჯაც შეგიძლიათ, რადგან მათ ეს არ დაუმსახურებიათ.

***თევზები*** — თევზებმა, შესაძლოა, ისეთი იმპულსები მიიღონ, რაც ორი-სამი კვირის განმავლობაში ეყოფათ. კარგი იქნება, ამ მუხტს ერთ დღეში თუ არ დახარჯავთ, რადგან სამომავლოდ, თქვენს მიერ შესასრულებელი საქმე ძალიან დიდ ენერგიასა და შრომისუნარიანობას მოითხოვს.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | | | 3 | 2 | |
| | | | 7 | | | | 4 | |
| | 5 | | | | | 9 | | 7 |
| | | 3 | 5 | | 2 | | | |
| | 4 | | | | | | 7 | |
| | | | 8 | | 6 | 5 | | |
| 5 | | 2 | | | | | 6 | |
| | 9 | | | | 5 | | | |
| | 7 | 6 | | | 3 | | | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 8 | | 6 | 5 | 4 | | |
| | | | | | | | | |
| | | 5 | 4 | | 2 | | | 8 |
| | 3 | | | | 8 | 9 | 2 | |
| | | 6 | | 9 | | 7 | | |
| | 9 | 4 | 2 | | | | 8 | |
| 6 | | | 9 | | 4 | 8 | | |
| | | | | | | | | |
| | | 9 | 6 | 8 | | 3 | | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | 1 | | | | |
| 1 | | | 8 | | 7 | | | |
| 5 | 9 | 8 | | | | | | 1 |
| | | | 2 | | | 5 | | |
| | | 2 | 5 | | 8 | 4 | | |
| | | 5 | | | 4 | | | |
| 3 | | | | | | 7 | 9 | 2 |
| | | | 3 | | 9 | | | 6 |
| | | | | 5 | | | 8 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 2 | | 1 | | 4 | | 5 |
| | 4 | | | 6 | 5 | | | |
| | | | | | | 1 | | |
| | | 9 | 2 | | | | 4 | |
| | | | | 9 | | | | |
| | 8 | | | | 1 | 2 | | |
| | | 4 | | | | | | |
| | | | 8 | 4 | | | 2 | |
| 5 | | 3 | | 2 | | 9 | | 4 |



# ჰოროსკოპი
## 22 სექტემბერი

**ვერძი** — ვერძებმა ცოტა უნდა დაიცხრონ სიამაყე. ადვილად შერიგების დემონსტრაცია საქმეს უდავოდ წაადგება და თან ერთ-ორ კონფლიქტსაც მოაგვარებთ.

**კურო** — დღეშ ოპტიმიზმით უნდა აგავსოთ. ყველაფერი სულ მცირე ძალისხმევის ფასად გამოგივათ, თუმცა ასეთმა ვითარებამ, შესაძლოა, ცოტა გაგაბრაზოთ კიდეც. მოსალოდნელია, ელემენტარული შურის გამო, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ.

**ტყუპები** — თუ საკუთარ თავს დამოუკიდებლად არ მიიჩნევთ, მოგიწევთ ამ მიმართულებით მორიგი ნაბიჯის გადადგმა, ოღონდ კარგად დაფიქრდით, ნამდვილად გსურთ თუ არა ამის გაკეთება.

**კირჩხიბი** — გენიალური იდეები მოსვენებას დაგიკარგავთ, თუმცა ემოციებს ნუ აყვებით, კეთილგონიერება შეინარჩუნეთ და შეცდომებსაც ნაკლებად დაუშვებთ.

**ლომი** — შესაფერისი დღეა სიმშვიდესა და სიმყუდროვეში გასატარებლად, ლამაზი პეიზაჟებით თვალის დასატკბობად. არ არის რეკომენდებული შორ მანძილზე გამგზავრება.

**ქალწული** — შესაძლოა, აპათიის მსხვერპლი გახდეთ, ამიტომ ნუ მისცემთ თავს დასვენების უფლებას. ახლა ეს ყველაზე ნაკლებად გჭირდებათ.

**სასწორი** — ყველაფერი მშვენივრად გამოგივათ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვიდად იქნებით და ნერვებს არ აყვებით.

**ღრიანკალი** — ოჯახურ ვითარებაში უსიამოვნო თემებზე საუბარს თავს ვერ აარიდებთ, სამაგიეროდ, თქვენი მოთმენის წყალობით, ადვილად შეძლებთ ამ დიალოგის მალე დასრულებას.

**მშვილდოსანი** — დაუფიქრებელი მოქმედების ან დაშვებული შეცდომის გამო, ისეთი რამ მოხდება, რაც საკმაოდ საინტერესო და თქვენთვის მოულოდნელ შედეგებს მოიტანს.

**თხის რქა** — ეცადეთ, თავი აარიდოთ ხალხმრავლობას, რადგან ეს გარკვეულ უსიამოვნებას გიქადით, ამიტომ სჯობს, ტელევიზორს მიუჯდეთ და დრო მარტოობაში გაატაროთ.

**მერწყული** — ნუ შეეცდებით მოწყენის მიზეზის ძებნას — ეს არ გამოგივათ. გახსოვდეთ, რომ თქვენი კარგი განწყობა წარმოუდგენლად გადამდებია.

**თევზები** — ყველა თქვენსა და თქვენს საქმეებზე ილაპარაკებს, ამიტომ თქვენივე ინტერესებშია, არ ჩაიდინოთ რამე გასაკიცხი, რადგან მერე ამის დამალვა ძალიან გაგიჭირდებათ.

# ვეგეტარიანელობა ფსიქიკურ აშლილობას მიაკუთვნეს



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ფსიქიკურ დაავადებათა ის ჩამონათვალი გააფართოვა, რაც ექიმი-ფსიქიატრის მკურნალობას ექვემდებარება. სიაში საკვების უმად ჭამა და ვეგეტარიანელობა შევიდა, რომელიც ჩვევებისა და ლტოლვის აშლილობათა ჯგუფში შეიყვანეს, მიზეზი კი ესპანეთში, ქალაქ მალაგაში მომხდარი ფაქტი გახდა — უმი საკვების მოყვარულმა ოჯახმა, ამ მკაცრი დიეტით შვილები კომამდე მიიყვანა. ბავშვების გადარჩენა მხოლოდ მეზობლების მიერ დროულად გამოძახებული სასწრაფოს წყალობით გახდა შესაძლებელი. მშობლები კი იძულებით სამკურნალოდ გაგზავნეს ფსიქიატრიულ კლინიკაში და მათ შვილების ნახვა აუკრძალეს. ამის მიუხედავად, ამერიკელი დიეტოლოგების ასოციაცია არ იზიარებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასეთ რადიკალურ მოსაზრებას. ისინი მიიჩნევენ, რომ სწორად დაბალანსებული დიეტისას ვეგეტარიანელობა ადამიანის ჯანმრთელობას სარგებელს მოუტანს და ორგანიზმს საჭირო ელემენტებს მიაწვდის.

# რასიზმს აბებით განკურნავენ?




ახალი გამოკვლევის თანახმად, წნევის დამწევი წამალი ადამიანებში რასისტულ გრძნობებს აქვეითებს. გამოკვლევა ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს, რომლებიც ექსპერიმენტში მონაწილეთა ნახევარს პროპრანოლოლს აძლევდნენ, მეორე ნახევარს კი — დამამშვიდებელ საშუალებას; მათ რასიზმზე ტესტის გავლა მოუწიათ პრეპარატის მიღებამდე, მიღების დროსა და შემდეგ. მეცნიერებმა შენიშნეს, რომ იმ მოხალისეებს, რომელთაც წნევის წამალი მიიღეს, რასობრივი მიდრეკილებები უფრო დაქვეითებული ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც დამამშვიდებელს იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევაში მხოლოდ 36 ადამიანი მონაწილეობდა, შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანის ტვინში მიმდინარე ზოგიერთ პროცესზე, შესაძლოა, სამკურნალო პრეპარატით ზემოქმედება.

# გარდაცვლილებს გააცოცხლებენ?



უახლოეს მომავალში რეანიმატოლოგი-მედიკოსები შეძლებენ, სიცოცხლე დაუბრუნონ ადამიანებს, რომლებიც 24 საათის წინ გარდაიცვალნენ, გამონაკლის შემთხვევებში კი შესაძლებელი იქნება სამი დღის გარდაცვლილის გაცოცხლებაც. ადრე სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ტვინი, გულის გაჩერების შემდეგ, მხოლოდ ხუთი წუთი ცოცხლობს, მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დაადგინეს, რომ სწორი რეანიმაციისას, ტვინის უჯრედები სიცოცხლისუნარიანობას მეტ ხანს ინარჩუნებს. მეცნიერები ექიმებს სთავაზობენ, ადამიანის სხეული 32 გრადუსამდე გააციონ — ასეთ ტემპერატურაზე ფერხდება ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებების გამომუშავება და უჯრედები ნელა კვდება, ტვინს კი ნაკლები ჰაერი სჭირდება, რისი წყალობითაც სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს.

1. ესპანეთში გავრცელებული სარტყმელი მუსიკალური საკრავი
2. ტვირთმზიდავი ხარი
3. მადრიდის „რეალის“ ექსმეკარე
4. რეზო ესაძის კინოქალაქი
5. ადამიანი, რომელიც დაიბადა თეთრკანიანისა და მეტისის ქორწინების შედეგად
6. მავრიტანიის დედაქალაქი
7. იგივეა, რაც სახარება
8. მამა-პაპათგან დამკვიდრებ. ჩვეულება
9. ბურთის ოსტატური ტარება ფეხბურთში
10. ბიჩერსტოუს შავკანიანი „ბიძია“
11. ქართული მითოლოგიის ღვთაება
12. დებულება, რომელიც არ საჭირ. დამტკიცებას.



13. მექსიკური მცენარე
14. მზის სისტემის პლანეტა
15. ლენინის გვარი
16. პარფიუმერია ძველ ქართულში
17. მდინარე შუა აზიაში
18. შეძახილი ჭიაკოკონობისას
19. ფილიპინების დედაქალაქი
20. ბალზაკის „ტყავი“
21. ევროპ. ვალუტა
22. მდინარე აშშ-ში
23. ბრძენი ...-ლოკო „სალამურას თავგადასავალში“
24. ბრაზილიის ნაკრ. ყოფილი კაპიტანი
25. „ბეჭდების მბრძანებლის“ ავტორი
26. თუთიყუშის ჯიში
27. გაზაფხულის ყვავილი
28. დასტურის სიტყვა ესპანურ ენაში
29. რძის ცხიმი
30. ოსირისის და
31. იტალიელი ფიზ. გალილეის მოწაფე
32. საეკ. მგალობელთა გუნდის ლოტბარი
33. მწერალ დავით ჩხეიძის ფსევდონიმი
34. ოიდიპოსის მამა
35. თევზისგან მომზადებული წვნიანი
36. რეჟისორი ფილმისა „ერთხელ ამერიკაში“
37. ძვირფასი სარეწაო თევზი
38. ციხესიმაგრე სამხრეთ საქართველ.
39. სამოას დედაქალაქი
40. საცხოვრის გადას. ქალის მშობლებისადმი
41. პალტოს სახელოს ერთგვარი ფასონი
42. ქალაქი ბელგიაში
43. ცელქი, მოუსვენარი
44. ესპანეთის ნაკრების თავდამს.
45. ძროხის ნობათი
46. გამარჯვების ქალღმ. ბერძ. მითოლოგ.
47. დართული ძაფი
48. მუსიკ. გამის VI ნოტი
49. თხელი, საფლობი ტალახი
50. რაიმე აზრს მოკლებული იდეა
51. კოსმოსში გაშვებული პირველი ძაღლი
52. წელიწადის 1/12
53. თმის მცენარეული საღებავი
54. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
55. იტალიელი ნობელიანტი მწერალი
56. ინდური კინოს ვარსკვლავი აიშვარია ...
57. რუსი მომღერალი ... კირკოროვი
58. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
59. ავადმყოფობის განვით. უმაღ. წერტილი
60. ძიუდოს დამფუძნებელი ძიგორო ...
61. ავტომობილისტთა საერთაშორ. ფედერ. (შემოკ.)




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

**შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა:** a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.